საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 2014 წელი.

№250 (7630)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რექტორები ხაზინის წინაალმდეგ?!

4

გენდობით, მაგრამ აუცილებლად შეგამოწმებთ!

„ვინც გარედან დაკვეთას არ ასრულებს, მიხვდება, რომ ბურჯანაძის ინიციატივა ქართულ ინტერესებს ემსახურება“

გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის ინიციატივა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს მოაგვარებს.

როგორც დევდარიანი საკუთარ წერილში წერს, რუსეთსა და თურქეთისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანის შეთავაზება კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას, მათ შორის ევროპაშიც. ამასთან, მოიტანს სერიოზულ პოზიტიურ ეკონომიკურ ძვრებს და, რაც მთავარია, გაამყარებს ქვეყნის სტაბილურობას.

„მაინც რა საოცარი რამ არის ქართული პოლიტიკა! აქ ბევრს კამათობენ იმაზე, ვინ ვის რა აკადრა, ან ვინ რა იკადრა, ან ეს კადრები ვინ გაკრიფა და ახლები ვინ მოიყვანა. ხმის ჩახლეჩამდე ყვირიან ტელეეთერებში საკითხებზე, რომელთა უმეტესობა ქვეყანასა და ხალხზე არანაირად არ აისახება, სამაგიეროდ, ჯიუტად დუმან ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს მთავრობისთვის ნინო ბურჯანაძის წინადადებაც იკმარებს; ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ეს სკანდალის თუ არა (თუ მაინცდამაინც სკანდალებს ეძებს ჩვენი მედია და ასეც არის!), უაღრესად სერიოზული მსჯელობის საგანი მაინც გახდებოდა. ჩვენთან — არა. აქ ის უფრო მნიშვნელოვანია, რა ეჭირა ხელში ზაქარია ქუცნაშვილს, როცა პრეზიდენტ მარგველაშვილთან მივიდა. იმავე დღეს, როცა რუსეთის პრეზიდენტმა თურქეთში ვიზიტისას გაზსადენ „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის შეწყვეტის შესახებ განაცხადა და თურქეთთან გაზის ტრანზიტის შეთანხმებას მოაწერა ხელი, ბურჯანაძემ საკუთარი ინიციატივა გაახმიანა.

მოკლე მიმართვაში ნათქვამია: „განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორ იცავენ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს გაბედული ლიდერები. თურქეთმაც კი, რომელიც არის ნატოს წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, ყველას აჩვენა, რომ ქვეყნის ინტერესები გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე ორგანიზაციის, ან სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესები.

დაუბეგრავი მინიმუმის მილიონები

4

ივანიშვილის მთავრობის მიერ შემოღებულ პრინციპს ღარიბაშვილის მთავრობა აუქმებს

ვაჟა ბერიძე:

თუ მიაღწევენ, რომ ივანიშვილმა ღარიბაშვილი შეცვალოს, ეს ოპოზიციის სერიოზული გამარჯვება იქნება

3

თორნიკე შარაშენიძე:

5

ის დრო, ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს!

საქართველოს ძალიან დიდი ზარალი მოუტანა იმან, რომ ივანიშვილი ფორმალურად წავიდა მთავრობიდან და არაფორმალურად დარჩა პოლიტიკაში.

საით „მიერეკება“ ლარი?

7

8

„ლოდი დაბრკოლებისა“: აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის დელიმიტაცია 2015 წელს დასრულდება

უნგრეთმა საქართველოს ასოციირების შესახებ შეთანხმება რატიფიკაციაჰყო

უნგრეთის პარლამენტმა ევროკავშირთან საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ასოციირების შესახებ შეთანხმებების რატიფიკაცია მოახდინა. 5 დეკემბერს, უნგრეთის პრეზიდენტის იანოშ ადერის ხელმოწერით, რატიფიცირებული შეთანხმებები ძალაში შევიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმებების ადრეულ ეტაპზევე რატიფიცირების გზით, უნგრეთის ხელისუფლებამ აჩვენა, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორიბის პროგრამისა და საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპული არჩევნის, ასევე ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერას, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო უწყებიდან.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოს პრეზიდენტი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი მიიღო.

ოფიციალური ცნობით, შეხვედრისას მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები განიხილეს და რეგიონში, მათ შორის, უკრაინაში არსებულ ვითარებაზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ მდგომარეობასაც, კერძოდ, რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებას „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“.

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი: ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა

საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა და დარწმუნებული ვართ, ის ახალ სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას, — ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი გერმანიაში ქართულ-გერმანული ბიზნესფორმის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა და განაცხადა, რომ ის ხელს შეუწყობს როგორც ბიზნესებს შორის კონტაქტების გამყარებას, ასევე დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას.

შტაინმაიერმა პრემიერს კიდევ ერთხელ დაუდასტურა საქართველოს ევროპული კურსი-სადმი გერმანიის მტკიცე მხარდაჭერა და მზადყოფნა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. მხარეებმა ასევე ისაუბრეს გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, რომელიც 2015 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრისას ასევე განაცხადა, რომ გერმანია არ აღიარებს „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებულ ე.წ შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გერმანიის მტკიცე პოზიციას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც ანალოგიური შინაარსის ე.წ დოკუმენტი ცხინვალის რეგიონთან მიმართებაშიც მზადდება.

გიორგი მარგველაშვილი მიმართვას ავრცელებს

გიორგი მარგველაშვილი პირობას დებს, რომ მუდამ თითოეული თანამოქალაქის თავისუფლების სადარაჯოზე იქნება.

„ჩემო ძვირფასებო, დღეს საქართველო მთელ მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც წელს გამოირჩევა დევიზით — ადამიანის უფლებები 365.

ადამიანის უფლებები არ არის დამოკიდებული ქვეყნებსა და მთავრობებზე, არ წარმოადგენს რომელიმე სოციალური თუ ინტელექტუალური ჯგუფის კუთვნილებას ან ჯილდოს სწორი ქცევისთვის. ეს არის კაცობრიობის მონაპოვარი — ის იდეალები, რომლებიც ცივილიზაციასთან ერთად ვითარდება და კიდევ უფრო მტკიცდება.

სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც კი ხშირად ვაწყდებით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, რომლებსაც ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა საფუძველი აქვს. სულ ახლო წარსულში ჩვენი საზოგადოება გახდა ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების მომსწრე. საზოგადოების თითოეული წევრი უნდა ზრუნავდეს ყოველი მოქალაქის უფლებების დაცვაზე და ხმა აღიმაღლოს უკანონობისა და ძალადობის ყოველი შემთხვევის წინააღმდეგ.

მე, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი, ამ მიმართულებით მუშაობას ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მივიჩნევ და ვპირდები ჩემს თანამოქალაქეებს, რომ მუდამ ვიდგები თითოეული მათგანის თავისუფლების სადარაჯოზე“, — აღნიშნულია მიმართვაში.

უშიშროების სამსახური შსს-ს გამოეყოფა

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებისა და რეორგანიზაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს დავით სუჯაშვილს სამუშაო ჯგუფის შექმნა დაავალა. პრემიერის ინიციატივით, სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, უცხოელი და ქართველი ექსპერტები შევლენ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან უშიშროების სამსახურის გამოყოფის საკითხზე იმუშავებს. მომზადდება ანალიზი და მაქსიმალურად მოხდება ყველა რისკის გათვლა.

„მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ საკითხი, რომელიც თავის დროზე იყო „ქართული ოცნების„ დაპირება-შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყოს უსაფრთხოების ბლოკი და მოხდეს შს სამინისტროს რეფორმირება. მე დავავალე უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ახალ მდივანს, შექმნას სამუშაო ჯგუფი. ამას სჭირდება კარგი დაგეგმარება, რათა მოხდეს რისკების გათვლა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ შეგნებულად არ შევეხეთ ამ საკითხს, რადგან იყო გარდამავალი პერიოდი, იყო გამოწვევები. დღეს არის ის დრო, რომ ჩვენ დავიწყოთ მსჯელობა, შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, რომელიც იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე, ღია. ყველას მიეცემა საშუალება პროცესში ჩართულობის. დავსხდეთ და ერთად ჩამოვყალიბდეთ, რომელი მოდელი აჯობებს ჩვენს რეალობაში, ქართულ რეალობაში. საქართველოსთვის როგორი მოწყობა იქნება ყველაზე ოპტიმალური. შეესაძლოა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების ბლოკი გამოეყოს, სადაც სპეცსამსახურები შევლენ და ცალკე იქნება პოლიცია. ეს არის იდეის დონეზე, მაგრამ თუ რა ფორმით განხორციელდება ის, ამაზე სამუშაო ჯგუფი იმსჯელებს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ წინადადებებს განიხილავს მთავრობა და ამის შემდეგ კანონპროექტი დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება.

საქართველოს მთავრობა მონიტორინგის მისიის განცხადებას უპასუხებს

საქართველოს მთავრობა OSCE/ODIR მონიტორინგის მისიის განცხადებას ეხმაურება და მიესალმება მის რეკომენდაციებს. მთავრობა აგრეთვე აღნიშნავს, რომ მისიას მონიტორინგისთვის თავად საქართველოს მთავრობამ მიმართა.

„მედიანიუსი“ საქართველოს მთავრობის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს მთავრობა მიესალმება OSCE/ODIR მონიტორინგის მისიის როლს კონსტრუქციული რჩევებითა და რეკომენდაციებით მხარი დაუჭიროს საქართველოში მიმდინარე მართლმსაჯულების რეფორმებს და ამით წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში.

2012 წლის არჩევნების შემდეგ მთავრობამ გამოხატა პოლიტიკური ნება და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს ODHI საქართველოს წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესებზე დაკვირვების თხოვნით თავად მიმართა. აღნიშნული ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს: მომხდარიყო სასამართლო პროცესებზე გამოვლენილი დარღვევების იდენტიფიცირება და რეფორმების გზით მათი აღმოფხვრა. მთავრობის მიერ OSCE/ODIR სადამკვირვებლო მისიის საკუთარი ინიციატივით მოწვევის ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დღევანდელი ხელისუფლების სურვილს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები იყოს ღია და გამჭვირვალე.

ODHI-ის მიერ დღემდე განხორციელებული ანალოგიური დაკვირვებების შედეგად, დარღვევები ყოველთვის იყო აღმოჩენილი, მაგრამ ბევრი ხელისუფლება თავს იკავებს მისიის მოწვევისგან. მისიის მიზანი სასამართლო პროცესებზე არსებული დარღვევების გამოვლენაა. ანგარიში ადასტურებს, რომ საქართველოში არ მიმდინარეობს პოლიტიკური ნიშნით სამართლებრივი დევნა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ამ მიმართულებით, თუმცა, ეს პროცესი არ არის დასრულებული და ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებით დაიწყო სასამართლო რეფორმა და ინტენსიურად გრძელდება. მისი ეფექტური განხორციელება ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

აღსანიშნავია, რომ OSCE/ODIR სადამკვირვებლო მისიის დასრულების შემდეგ მისიის წარმომადგენლებსა და მთავრობის წარმომადგნელებს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები და აქტიური თანამშრომლობა. თუმცა, OSCE/ODIR-ის მოთხოვნის შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პროცესი იყო აბსოლუტურად დამოუკიდებელი და მთავრობის მხრიდან მაქსიმალურად იყო დაცული პროცესში ჩაურევლობა.

აღნიშნული ანგარიში ძალიან მნიშვნელოვანია და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მოხდეს რეკომენდაციების წარმატებული იმპლემენტაცია და აღმოიფხვრას მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები“, — ნათქვამია საქართველოს მთავრობის განცხადებაში.

◎ ინფორმაცია

„რამ დაუგროვა ირაკლი ალასანიას ასეთი ბოღმა, მართლა არ ვიცი“

დევნილთა მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ყოველდღე ერთსა და იმავეს ლაპარაკობს და არ ესმის, რატომ არ იღლება ამით.

მისივე თმით, როდესაც ისინი თვითმმართველობის არჩევნებზე იბრძოდნენ, მისი მხრიდან არ მოუსმენია ამის მეასედი ლანძღვა იმჟამინდელი მთავრობის მიმართ.

„დავიღალე, ერთსა და იმავეს ლაპარაკობს ყოველდღე და რატომ არ იღლება, არ მესმის. რამდენიმე თვის განმავლობაში „ალიანსი საქართველოსთვის“, როდესაც ერთად ვიბრძოდით თბილისის მერობისთვის და თვითმმართველობის არჩევნებზე, მისი მხრიდან ამის მეასედი ლანძღვა არ მსმენია მაშინდელი ხელისუფლების, საპაკაშვილის, თბილისის მერის და სხვა პირების მიმართ. რამ დაუგროვა ასეთი ბოღმა მართლა არ ვიცი“, — განაცხადა სუბარმა.

თუ მთავრობას მხარს უჭერ!

„ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე საკადრო გადაადგილებები პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდის შესუსტებად აღიქმება. ზოგიერთები პრემიერ-მინისტრის ჩანაცვლებასაც არ გამორიცხავენ და კონკრეტულ თარიღსაც ასახელებენ, რომ გაზაფხული ბოლო ვადა იქნება, როცა ბიძინა ივანიშვილი ღარიბაშვილს კალაძით ან სერგეენკოთი შეცვლის. პარალელურად, გააქტიურებულია სააკაშვილი. იგი ვარშავიდან იქადნება, რომ საქართველოდან ივანიშვილის გაქცევის შემდეგ, ის ერთადერთ ადამიანს დასჯის, მას, ვინც პროკურორებს იბარებს და დავალებებს გასცემს, და ეს დრო მალე დადგება. მოკლედ, სცენარი რეალიზმს კარგა ხანია, გასცდა და მავანთათვის სასურველ ჟანრში გადავიდა.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით For.ge ექსპერტ ვაჟა ბერიძეს ესაუბრა.

– ბევრს საუბრობენ ხელისუფლებაში ე.წ. კახელების დაჯგუფების პოზიციის დასუსტებაზე. ზვიად ჯანყარაშვილისა და რომან ჩხენკელის შემდეგ შესაძლოა, თანამდებობა კიდევ ერთმა მაღალჩინოსანმა, ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმაც დატოვოს. რამდენად საღი პროცესი მიმდინარეობს? ეს ცვლილებები რამდენად აუცილებელი და დროში გამართლებულია და კიდევ თუ ელით ცვლილებების მორიგ ტალღას, ამჯერად უფრო მაღალ პოზიციაზე?

– მე ვერ ვხედავ „ღარიბაშვილის კლანს“ ამ პოლიტიკურ სინამდვილეში. ღარიბაშვილი არის ივანიშვილის გუნდის წარმომადგენელი, რომელიც მუშაობდა და მუშაობს ადამიანთა ჯგუფთან და ამ გზით მართავს ქვეყანას, ის არის მთავრობის მეთაური. ცალკეული ადამიანების გადანაცვლება, წასვლა თანამდებობებიდან, ჩემი აზრით, არ ნიშნავს, ღარიბაშვილის ხელისუფლების და, უფრო ზუსტად, მისი ძალაუფლების შესუსტებას. პირიქით, მე ვფიქრობ, ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრმა, რომელსაც პოლიტიკაში მოღვაწეობის დიდი გამოცდილება არა აქვს, სერიოზული გამოცდა ჩააბარა.

ეს იყო, ჩემი აზრით, რბილი და ხავერდოვანი საპარლამენტო გადატრიალების მცდელობა, როდესაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობა დადგა ეჭვქვეშ. ბუნებრივია, ამით მთავრობას საპარლამენტო დასაყრდენი ხელიდან გამოეცლებოდა. ამას, შესაძლოა, მიეღო გარკვეული რბილი საპარლამენტო გადატრიალების ფორმა. ამ შემთხვევაშიც მთავრობის მეთაური იქცეოდა აბსოლუტურად დინჯად, მოზომილად და ამას დაერთო ლარის გაუფასურების საკმაოდ რთული პროცესი.

ამ ვითარებაში ირაკლი ღარიბაშვილს არ უკეთებია პოპულისტური განცხადებები. ის ელოდა მოვლენათა განვითარებას შესაბამისი ბერკეტების მეშვეობით და ეს პროცესი, ვფიქრობ, უკვე შეჩერებულია. მალე ჩვენ მივალთ ლარის წონასწორობის იმ ახალ ნიშნულამდე, რომელიც დაასტაბილურებს სიტუაციას. თანაც, ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ დღის წესრიგში არ დამდგარა მთავრობის ეკონომიკური გუნდის ცვლილების საკითხი. ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ღარიბაშვილის მეთაურობით მთავრობა სტაბილურია და ცვლილებების საჭიროება არ ჩანს. ეს ოპოზიციის მიერ შემოგდებული თემაა, რომელიც ოპოზიცია იმიტომაა, რომ ყველა სირთულე და პრობლემა გამოიყენოს სათავისოდ, თავისი ინტერესებისთვის. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, აბსოლუტურად უნიადაგო, თითიდან გამოწოვილი და საფუძველს მოკლებულია ღარიბაშვილის სერგეენკოთი ან კალაძით ჩანაცვლების იდეა, ესეც ოპოზიციის „მზაკვრობების“ გამოვლინებაა, რადგან სურთ ივანიშვილის ხელისუფლების გავლენის შესუსტება. ფაქტობრივად, ეს არის ივანიშვილის ხელისუფლება, რომელიც მისმა ავტორიტეტმა მოიყვანა ხელისუფლების სათავეში და საკმაოდ ძლიერი „ნაციონალური მოძრაობა“ პირწმინდად დაამარცხებინა. ასეთი ხმები ივანიშვილის გავლენის შესუსტების და ივანიშვილის პოლიტიკური გუნდის, მისი მემკვიდრეების დასუსტების მიზნით მიმართულ გამიზნულ დარტყმებს ემსახურება, რადგან ბუნებრივია, ღარიბაშვილი არის ივანიშვილის მიერ რეკომენდებული, მისი მემკვიდრე.

თუ იმას მიაღწევენ, რომ ამ პრობლემებსა და სირთულეებში დასდებენ ბრალს ღარიბაშვილს, რა პრობლემებიც ქვეყნის წინაშე ამ ორ წელიწადში ნამდვილად არ ჩამოყალიბებულა და, თუ მიაღწევენ იმას, რომ აიძულონ ივანიშვილი, შეცვალოს ღარიბაშვილი, ეს იქნება ოპოზიციის დიდი და სერიოზული გამარჯვება, მაგრამ საამისოდ რეალურად არაფერი ჩანს. ღარიბაშვილმა საკმაოდ დინჯად დაიჭირა პაუზა, არ დაუწყია თავის მართლება ლარის კურსის დევალვაციის პროცესში და საპარლამენტო რბილი და ხავერდოვანი გადატრიალების მცდელობაც აღიკვეთა, შეჩერდა ისე, რომ მას შეცდომები არ დაუშვია. ამიტომ, რატომ უნდა შეიცვალოს ღარიბაშვილი? ეს საკმაოდ უნიათო ფანტაზიის ნაწილია.

– ამ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილის ხელწერას ხედავთ? ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ივანიშვილს აქვს ერთი ასეთი თვისება, ის რამდენიმე ხნის განმავლობაში ვითარებას აკვირდება და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. ასევე, ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესზე ზეწოლაში მხილებულ რამდენიმე პირს, მათ შორის, დღეს გადამდგარ ზოგიერთ ჩინოსანს, კვირის ბოლომდე მისცა ვადა და საქართველოს დატოვება ურჩია. ამ ყველაფერს ემატება მარგველაშვილის განცხადება, რომ ივანიშვილმა უფრო ღიად უნდა ილაპარაკოს და თქვას, რომ მას რეალურად გავლენა აქვს პოლიტიკაზე და ეს არ უარყოს.

– ივანიშვილის ფაქტორი, ბუნებრივია, არსებობს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მინდა მოვუწოდო ჩემს ფავორიტ ვებგვერდს – For.ge-ს, რომ ანალიტიკას ნუ აგებს ხმებზე და მითქმა-მოთქმაზე, რადგან, რაზეც საუბრობენ, ეს არის საინფორმაციო სივრცეში ზოგჯერ წინასწარი და ბოროტი განზრახვით შემოგდებული ვერსიები. ადამიანი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმი

„თუ მიაღწევენ, რომ ივანიშვილმა ღარიბაშვილი შეცვალოს, ეს ოპოზიციის სერიოზული გამარჯვება იქნება“

დაამარცხა და ხელისუფლებაში მოიყვანა კოალიცია, რომლის სუბიექტებიც თავისი რეიტინგით 3-5 %-ს ვერ აცდებოდნენ, დამოუკიდებლად რომ ეყარათ კენჭი, ადამიანს, რომელმაც თავისი შეხედულებისამებრ დატოვა მთავრობა, გახდა კერძო პირი და ოფიციალურად არ ერევა არც პოლიტიკაში, არც სახელმწიფოს მართვაში, ამ ყველაფრის გამკეთებელ ივანიშვილს (თუ გავითვალისწინებთ მის ფინანსურ შესაძლებლობას და უზარმაზარ ქველმოქმედებას), ბუნებრივია, აქვს წონა და მისი შეხედულებები აისახება პროცესების მიმდინარეობაზე. მათ შორის, როგორც თავად აღიარებს, აქვს კონსულტაციები ხელისუფლების პირველ პირებთან – ღარიბაშვილთან, უსუფაშვილთან. ესეც ბუნებრივია.

ამ ვითარებაში ირაკლი ღარიბაშვილს არ უკეთებია პოპულისტური განცხადებები. ის ელოდა მოვლენათა განვითარებას შესაბამისი ბერკეტების მეშვეობით და ეს პროცესი, ვფიქრობ, უკვე შეჩერებულია. მალე ჩვენ მივალთ ლარის წონასწორობის იმ ახალ ნიშნულამდე, რომელიც დაასტაბილურებს სიტუაციას. თანაც, ეს პროცესები ისე წარიმართა, რომ დღის წესრიგში არ დამდგარა მთავრობის ეკონომიკური გუნდის ცვლილების საკითხი.

თუ ბრიტანეთში პრემიერი ქემერონი მართავს კონსულტაციებს გორდონ ბრაუნთან, ყოფილ პრემიერ-მინისტრთან შოტლანდიის რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე, ივანიშვილისგან მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში და რჩევების მიცემა მისი მემკვიდრის მიმართ, რომელიც, ამავე დროს, მისი გუნდის წევრია და მასთან დაახლოებული პირია, არ უნდა იყოს აჟიოტაჟის საფუძველი. პირიქით, საქართველო დიდი და გამორჩეული პიროვნებების, ინდივიდების ქვეყანაა და საზოგადოებრივი ასპარეზიდან ასეთი ადამიანების მოკვეთა, მათი ჩაქოლვა ხშირად გვიყვარს, განსაკუთრებით, – ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. პირიქით, ეს ჩვენი გამორჩეული ინდივიდუალიზმია. ძლიერი ინდივიდები უნდა რჩებოდნენ პოლიტიკაში, ოღონდ მათი მონაწილეობა პოლიტიკაში უნდა იყოს გასაჯაროებული და არა – კულუარული.

– თქვენ აცხადებთ, რომ ეს ყველაფერი ოპოზიციის მიერ დაყრილი ხმებია, მაგრამ განმეორებით გკითხავთ: თუნდაც ჯანყარაშვილის და სხვების ჩამოცილება, რომლებიც ღარიბაშვილის გუნდის წევრებად ან ახლობლებად განიხილებიან, ხომ არ არის ღარიბაშვილის ერთგვარი განიარაღება?

– მესმის თქვენი კითხვის შინაარსი, მაგრამ ასე შევხედოთ სიტუაციას – ახალგაზრდა პერსპექტიული და ნიჭიერი კაცი გახდა პრემიერ-მინისტრი. ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილის ან პეტრიაშვილის რეკომენდებული კადრით ვერ მართავს ქვეყანას. მას სჭირდება გარემოცვა, რომელზე დაყრდნობითაც პროცესებს წარმართავს. მან შეარჩია ჩხენკელების, ჯანყარაშვილის ჯგუფი და ამის მონათვლა „კახურ კლანად“ –გადაჭარბებულია. თუ წარმოშობით ადამიანი გურიიდანაა, შეიძლება, რამდენიმე გურული დანიშნოს საკვანძო თანამდებობაზე, რადგან მათ იცნობს, ენდობა, იცის მათი შესაძლებლობები. იგივე მეგრელი თუ გახდება პირველი პირი, შეიძლება, რამდენიმე მეგრელი დანიშნოს საკვანძო თანამდებობაზე. ასე მოხდა აქაც, ადამიანმა ისინი მოიყვანა, ვისაც იცნობდა და ენდობოდა, შემდეგ მოხდა მათზე დაკვირვება. შეიძლება, ამ საქმეში რჩევები მან ივანიშვილისგანაც მიიღო, როგორც ყოფილი პრემიერისგან. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები ვერ ამართლებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

– ნოდარ ჯავახიშვილი აცხადებს, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროში, პირველ რიგში, ტენდერების საკითხებით დაინტერესდება, სწორედ ბოლო დროის ტენდერებმა გამოიწვია გაურკვევლობა. იმასაც ამბობდნენ, რომ გარკვეულწილად, ამ ტენდერებში ცალკეული ადამიანების ხელიც ერია .

– პირველ რიგში, ტენდერების შესახებ ვიტყვი, რომ ხარჯვა მთავრობამ შეანელა იმის გამო, რომ ტენდერების ორგანიზებაში იყო გარკვეული შეფერხებები. მაგალითად, ნაციონალებს ჰქონდათ კარგად აწყობილი ტენდერების სისტემა. მათ ჰყავდათ ადამიანების გარკვეული წრე, რომლებსაც ენდობოდნენ, მათ შორის, ოფშორებში დარეგისტრირებული ფირმები. იცოდნენ, ვინ იყო მათ უკან და ერთი და ორი ცრუმაგიერი კომპანიის წარდგენით, ვითომ ტარდებოდა ტენდერები. შემდეგ მათთვის სასურველი კომპანიები იგებდნენ ამ პროცესებს, ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა, ეს იყო ელიტური კორუფციის ნაწილი და აქედან ამონაგები თანხით გამარჯვებული კომპანიები უხვად აფინანსებდნენ საარჩევნო კამპანიებს. ასეთი სისტემა „ქართულმა ოცნებამ“ დაანგრია. ამიტომ უკვე აღარ არის ის კომპანიები, რომლებმაც აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ ამ ტენდერებში, ხანდახან გამოკრთებოდა ვიღაცის ნათესავის კომპანია, ვიღაცის მეუღლის კომპანია, მაგრამ პოლიტიკური ნება ივანიშვილის და შემდეგ უკვე ღარიბაშვილის იყო ასეთი, რომ ასეთი კომპანიები აღარ არსებობდნენ. ამიტომ შეფერხდა ტენდერების ჩატარების პროცესი და ხარჯვის პროცესიც გარკვეულწილად, დაბრკოლდა. კიდევ უფრო საიმედო რომ იყოს ეს მიმართულება და არანაირი შანსი რომ არ არსებობდეს კორუფციული პროცესების გააქტიურებისთვის, ამისთვის გადაიყვანეს ინფრასტრუქტურის სამინისტროში ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც პრინციპულობით, მიუკერძოებლობით და არაკორუმპირებულობითაა ცნობილი. ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მიზანი ცხადია – უნდა გაკონტროლდეს ტენდერები, რომ არ გახდეს აღებ-მიცემის საშუალება, როგორც ადრე იყო.

– კომპანია „კავკაზუს როუდ პროჯექტი“ და კომპანია „არდი“ არც მალავენ, რომ არაპროფესიონალი მოხელეების პანიკური შიშით შედგენილი სატენდერო პირობები ქართულ ბიზნესს დღესაც ანგრევს და დასახმარებლად პრემიერს მიმართავენ... ისევ საკადრო თემას დავუბრუნდეთ. მურმან დუმბაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ ღარიბაშვილის გაპრემიერებას არ უნდა დათანხმებულიყვნენ, რადგან მას 30 წლის ასაკში ქვეყნის მართვა ჩააბარეს, რაც მძიმე ტვირთია. დუმბაძის თქმით, „ღარიბაშვილს საქმის კეთება გულწრფელად სურს, მაგრამ გარემოცვა და ახალგაზრდული გამოუცდელობა ხელს უშლის“. მართალია, ბევრს მოსწონს ღარიბაშვილის ახალგაზრდული შემართება, მაგრამ ზოგიერთ მის ყოფილ თანაგუნდელში ასეთ ნიჰილისტურ განწყობას რით ახსნით? ესეც მურმან დუმბაძის ოპოზიციონერობით აიხსნება?

– კატეგორიულად არ ვეთანხმები მურმან დუმბაძეს. მიუხედავად იმისა, რომ თავად გამოცდილი ადამიანია და ცხოვრებაში ბევრი რამ აქვს ნანახი. ახალგაზრდობა არც ღირსებაა და არც ნაკლი. საერთოდ, მე ხელისუფლების თინეიჯერიზაციის, იუნიზმის, ასაკობრივი დისკრიმინაციის გამოვლენის კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა, როცა 40 წელს ზემოთ გამოცდილი, უმწიკვლო ადამიანებს თანამდებობებზე არ ნიშნავდნენ. ახალგაზრდობა შემაფერხებელი გარემოება არ უნდა იყოს ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნისთვის. პირიქით, მოცემულ შემთხვევაში ივანიშვილმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა განათლებული, განსწავლული, პრინციპული კაცი ჩაუყენა მთავრობას სათავეში. ერთადერთი გამოკვეთილი ნაკლი, რაც შემიძლია, დავაფიქსირო ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობაში, ის არის, რომ პრემიერი რატომღაც არჩევს მუშაობას მრჩევლების გარეშე და მის გვერდით ვერ ვხედავთ საინტერესო ფიგურებს, ანალიტიკოსებს, პრინციპულ ადამიანებს, რომლებიც შექმნიდნენ გარკვეულ წრეს, რადგან ყველგან, დასავლეთში, დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთ ფიგურებს მრჩევლებად ჰყავთ არა მარტო ერთი პირი, არამედ ისინი იმართებიან ინსტიტუტების და მრჩეველთა ძლიერი ჯგუფების მეშვეობით. სხვა თვალსაზრისით, არ მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მთავრობას ორი წლის განმავლობაში შეეძლო სასწაული მოეხდინა და ის პრობლემები მოეგვარებინა, რომლებიც ათწლეულების პერიოდში გრძელდებოდა, ციური მანანა წამოსულიყო ციდან და დაეპურებინა გაჭირვებული საქართველო. ამისთვის გადაიდგა პირველი ნაბიჯები, სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ის მწირი რესურსები იქნა მიმართული, რაც ჰქონდა ჩვენს ბიუჯეტს. ეს გარკვეული რისკი იყო, რადგან სოციალური პროექტებისკენ რესურსების მიმართვას სჯობს ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩაიდოს ეს ფული, მაგრამ ივანიშვილის და ღარიბაშვილის პოზიციაც იდენტურია, როცა ხალხს შია, ექიმთან მისასვლელი ფული არ აქვს, ასეთ დროს სოციალური პროექტები უნდა დაფინანსდეს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ხალხმა აირჩია და მოიყვანა ეს ხელისუფლება სათავეში. ამიტომ უნდა მოვუმატოთ ხალხს პენსია, დახმარება, რადგან ადამიანების დიდი რაოდენობა შიმშილობს. ღარიბაშვილთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ივანიშვილის მემკვიდრეების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური კამპანიის შედეგია, რომლის უკანაც სააკაშვილი და ნაციონალები დგანან.

– ლარის კურსის დევალვაციის გარდა, მთავრობაში არსებული ცვლილებები ხომ არ არის უკრაინის მოვლენებით ინსპირირებული, სადაც ნაციონალების დესანტმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია?

– უკრაინული მოვლენების კვალს ამ პროცესთან მიმართებით ვერ ვხედავ. რა თქმა უნდა, დოლარის გამყარება ეროვნულ ვალუტებთან მიმართებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს, გამონაკლისი მხოლოდ აზერბაიჯანია, თავისი მდიდარი ენერგორესურსებით. ბუნებრივია, ახლა ილუზია შეექმნათ ნაციონალებს, რომ დადგა მათი დრო და ახალი სუნთქვა გაეხსნათ, მაგრამ აბსოლუტურად ილუზორულია მათი მისწრაფებები, შეუტიონ ივანიშვილის მემკვიდრეებს, მათ შორის, ღარიბაშვილს. მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ახდენს საქართველოზე გავლენას. მეორე მხრივ, ეკონომიკური პროცესების მოწესრიგება ქვეყანაში, ახალი პროექტების მოძიება, ახალი ინვესტიციების მოზიდვა ისე, რომ სიღატაკის ზღვარს ქვევით მყოფ ჩვენს მოსახლეობას საარსებო მინიმუმი შეუნარჩუნდეს, ურთულესი ამოცანაა. მოჩვენებითი სინგაპურიზაციის ტაქტიკით და ფასადების ღებვით ეს ხელისუფლება არ აპირებს ფონს გასვლას. მე ამ ხელისუფლების თანმიმდევრული კრიტიკოსი გახლავართ, დაწყებული ბიძინა ივანიშვილის საქმიანობით, დამთავრებული მისი მემკვიდრეების მოღვაწეობით, მაგრამ, როცა საქართველოს ბედს ეხება საქმე და საქმე ეხება მთავრობის იმ პოლიტიკას, რომ მან არ გადაუხვიოს ევროპული ინტეგრაციის კურსიდან და დაალაგოს ვითარება ქვეყნის შიგნით და გარეთ, ვალდებული ვარ, ეს დესტრუქციული პოლიტიკა ვამხილო და მთავრობას მხარი დავუჭირო.

მანანა ნოზაძე

◎ მოულოდნელი რაკურსით

გენდობით, მაგრამ აუცილებლად შეგამოწმებთ!

რექტორები ხაზინის წინააღმდეგ?!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და საქართველოს პარლამენტის წევრებმა, საბიუჯეტო კოდექსის ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით 8 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ხელმოწერით მიმართვა მიიღეს. უნივერსიტეტების ხელმძღვანელები შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევას ეხმიანებიან და აცხადებენ, რომ დაგეგმილი ცვლილებები ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიის პრინციპს.

2015 წლიდან სსიპ-ებს, ა(ა)იპ-ებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება ექნებათ, დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით, იქონიონ ანგარიშები კომერციულ ბანკებში, რომელზეც საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ გადაიტანენ ხაზინაში აკუმულირებულ ჭარბ ფულს. ამ ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები იქნება მათი შემოსავალი და ისინი ამ თანხას საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად განკარგავენ.

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საბიუჯეტო კოდექსის ცვლილებების პროექტს, რომლის მიხედვითაც იგეგმება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, მათ შორის, სახელმწიფო უნივერსიტეტების, შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა.

დაგეგმილი ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის უნივერსიტეტების ავტონომიის პრინციპთან. ასევე ეწინააღმდეგება ბოლონიის პროცესს, რომელსაც საქართველო 2005 წელს მიუერთდა ბერგენის სამიტზე. ბოლონიის დეკლარაცია, ისევე როგორც ბოლონიის პროცესის ამის შემდეგ მიღებული თითქმის ყველა კომუნიკე, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად დასახული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ პირობად აღიარებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობას. უნივერსიტეტების ავტონომიურობის ეს პრინციპი ასახულია საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“:

მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „ავტონომია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა“;

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი: „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს: ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას“.

ჩვენი ერთსულოვანი პოზიციაა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები არ უნდა გავრცელდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ზუსტად ისევე, როგორც, კანონპროექტის მიხედვით, ისინი არ ვრცელდება მარეგულირებელ ორგანოებზე. როგორც მარეგულირებელი ორგანოების, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში ამ ინსტიტუტებისათვის დასახული მიზნების მიღწევისა და მათი განვითარების საფუძველს წარმოადგენს ავტონომიურობა, რაც ასახულია შესაბამის კანონმდებლობაში. ამიტომ გამონაკლისი, დაშვებული ერთ შემთხვევაში, უნდა გავრცელდეს მეორე შემთხვევაზეც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი მიდგომით იქნება უზრუნველყოფილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია საკანონმდებლო დონეზე“, – ნათქვამია რექტორების მიმართვაში.

მიმართვას ხელს აწერენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორები.

ხაზინის მეშვეობით საბიუჯეტო თანხების მოძრაობის გაკონტროლების ინიციატივა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჯერ კიდევ სექტემბრის ბოლოს წამოაყენა. მისი ინფორმაციით, 2015 წლის პირველი იანვრიდან ყველა დონის ბიუჯეტი, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები სახაზინო მომსახურებაზე გადავიდოდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ ორგანიზაციებს ანგარიში არა კომერციულ ბანკებში, არამედ ხაზინაში ექნებოდათ და მომსახურებასაც სწორედ ხაზინა გაუწევდა.

სხვათა შორის, ამგვარი გადაწყვეტილება მთავრობას ექსპერტებმა იმთავითვე მოუწონეს. სსიპ-ების ფულის ხაზინის მეშვეობით მართვას დადებითი მოვლენა უწოდა კონტროლის პალატის ყოფილა მოხელემ, იურისტმა ლევან ალაფიშვილმა.

„ახალი ცვლილება სულაც არ ნიშნავს ამ სსიპ-ეის ხარჯვით ნაწილსა თუ ავტონომიურობაში ჩარევას. ამით საჯარო ფინანსების კონსოლიდირება მოხდება“, – აღნიშნა ლევან ალაფიშვილმა.

პარლამენტი უმაღლესი სასწავლებლების საკითხის გარკვევაში ჩაერთვება. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი ხაზინის წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს.

„უმაღლესი სასწავლებლების ანგარიშები ხაზინაში გადადის, თუმცა, კომერციული ბანკებით სარგებლობის უფლება ეძლევათ. როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, ეს აღრიცხვიანობისა და კონტროლისთვის არის განსაზღვრული. შევთანხმდით, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი საკითხში კიდევ ერთხელ ჩაიხედავს. უნივერსიტეტის წარმომადგენლები შეხვდებიან ხაზინას, რათა ტექნიკურ დონეზე დაინახონ, თუ რა შესაძლო შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ჩვენც ცალკე შევხვდებით ხაზინის ხელმძღვანელობას. ვფიქრობ, სერიოზული პრობლემები არ უნდა წარმოიქმნას, რადგან არავის აქვს უფლება, უნივერსიტეტის თანხები თვითნებურად ან სხვაგვარად გამოიყენოს. კომიტეტი შეეცდება, დაბალანსებული კანონი მივიღოთ, სადაც ყველა მხარის ინტერესი იქნება გათვალისწინებული“, – განაცხადა ონოფრიშვილმა.

ბექა დანელია

◎ მთავარია შედეგი!

დაუბეგრავი მინიმუმის მილიონები

ივანიშვილის მთავრობის მიერ შემოღებულ პრინციპს ღარიბაშვილის მთავრობა აუქმებს

მთავრობა დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპს აუქმებს, რითაც წინააღმდეგობაში კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამასთან მოდის. for.ge კოალიციის საარჩევნო პროგრამას დეტალურად გაეცნო, სადაც 45-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ხელისუფლება სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული დაბეგვრის მექანიზმებს უზრუნველყოფს, მათ შორის, ყოველწლიურად საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავ მინიმუმს დაადგენს, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ იქნება.

მთავრობამ 2012 წელს, საარჩევნო პროგრამის სწორედ ამ ჩანაწერით იხელმძღვანელა, როდესაც ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის პერიოდში, „საგადასახდო კოდექსში“ დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპი ჩადო, რომელიც ძალაში 2013 წელს შევიდა. ამჟამად კი, ფინანსთა სამინისტრო ამ საკანონმდებლო ნორმის გაუქმების იდეით გამოდის და პარლამენტს დაჩქარებული წესით ისევ „საგადასახადო კოდექსის“ განხილვას სთხოვს, სადაც ნათქვამია, რომ 2015 წლისთვის მიღებულ შემოსავლებზე დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპი აღარ გავრცელდება.

კერძოდ, კანონპროექტით, ფიზიკური პირი, რომლის ერთობლივი შემოსავალი საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2013 და 2014 წლის განმავლობაში 6000 ლარს არ აღემატება, უფლებამოსილია, კალენდარული წლის მიხედვით, ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი გამოქვითოს.

ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, 2015 წელს, შესაბამის პირებს კვლავ ექნებათ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვისა და 2014 წელს გადახდილი გადასახადის დაბრუნების უფლება, თუმცა, ეს უფლება 2015 წელს მიღებულ შემოსავლებზე აღარ გავრცელდება, რაც მათი შეფასებით, შესაძლოა, იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახოს, ვინც ამ უფლებით სარგებლობდა.

რატომ აუქმებს ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ შემოღებულ პრინციპს, ამას ვერც აღმასრულებელ ხელისუფლებაში და ვერც პარლამენტში ვერ აკონკრეტებენ.

for.ge-სთან საუბარში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **დავით ონოფრიშვილი** აღნიშნავს, რომ მას დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპის გაუქმების მოტივაცია ბოლომდე არ ესმის.

კანონმდებლის თქმით, კონკრეტულად გაურკვეველია, ამ პრინციპიდან გამოთავისუფლებული თანხები, 2016 წელს თუ რას მოხმარდება.

„მთავრობის მხრიდან ზოგადი პასუხი იყო, რომ თანხები სოციალურ ხარჯებს მოხმარდება, მაგრამ საკითხზე მეტი კონკრეტიკაა საჭირო. სანამ, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს არ ვნახავთ, მანამდე ვერ გაარკვევთ, ეს თანხა რაში იხარჯება“, – აცხადებს ონოფრიშვილი, რომლის მსგავსად მისმა მოადგილემ **ნოდარ ებანოიძემ** არ იცის, გამოთავისუფლებული თანხა თუ სად ჩაიდება, მაგრამ მას თანხების განკარგვის თაობაზე გარკვეული რეკომენდაციები აქვს.

როგორც ებანოიძემ განაცხადა, დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპის შემოღება საქართველოსთვის საჭირო არ იყო, რადგან აღნიშნული რეგულაცია შეუსაბამო სქემას ეფუძნება.

დეპუტატის მოსაზრებით, თუკი პირმა დეკემბერში, საექსპერტო მომსახურებისთვის სოლიდური თანხა – 5800 ლარი მიიღო, მას დაუბეგრავი მინიმუმი რატომ უნდა შეეხოს.

„ამ პრინციპზე კითხვები მქონდა, რადგან ამ ნორმის ამოქმედების სანაცვლოდ, საგადასახადო გადასახადის 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირება არ მოხდა. დაუბეგრავი მინიმუმის სქემაში ბევრი შეუსაბამობა იყო და თუკი ეს თანხები სოციალური პროგრამით წავა, ან მცირე მეწარმეების წახალისება მოხდება, ეს უკეთესი იქნება“, – განაცხადა ებანოიძემ.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე **ზურაბ ტყემალაძე** კი ირწმუნება, რომ დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმებაარგაუქმების საკითხი 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით გადაწყდება. მისი მტკიცებით, ადგილი აქვს დაუბეგრავი მინიმუმის არა გაუქმებას, არამედ შეჩერებას.

„დაუბეგრავი მინიმუმი 2015 წლისთვის გაიცემა, 2016 წელს თუკი დაუბეგრავი მინიმუმი უფრო უკეთესი სოციალური პროექტით შეიცვლება, მხარს მას დაუჭერენ, თუ არა – გაგრძელდება ის, რაც არის“, – განმარტავს ტყემალაძე, რომელიც როგორც ჩანს, „საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ცვლილებებს დეტალურად არ იცნობს, რადგან კანონმდებლობიდან 81-ე პირველი პრიმა მუხლი და 153-ე მუხლის მეოთხე ნაწილის პირველი პრიმა მუხლი ამოდის, რომლის მიხედვით, დაქირავებულს უფლება ჰქონდა გადასახადის წყაროსთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშების და თანხის დაბრუნების მიზნით, საგადასახადო ორგანოში დეკლარაცია წარედგინა.

ტყემალაძისგან განსხვავებით, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე აცხადებს, რომ 2016 წლიდან დაუბეგრავი მინიმუმი აღარ იარსებებს. კაკაურიძის განმარტებით, ამ პრინციპის ნაცვლად, სოციალური დახმარების გაუმჯობესებული სისტემა იქმნება მათთვის, ვისაც ეს რეალურად სჭირდება. მისი ინფორმაციით, 2014 წლისთვის დაუბეგრავი მინიმუმის სახით უკან 130 მილიონი ლარი დაბრუნდა, ხოლო 2015 წელს გასაცემი თანხა დაახლოებით 140 მილიონი ლარი იქნება.

„მთავარია, თანხა, რასაც ვხარჯავთ, უფრო ეფექტურად იყოს მიმართული. უმჯობესია, დახმარება სწორედ ობიექტური კრიტერიუმებით შეფასებულმა სოციალურად დაუცველმა პირებმა მიიღონ. 2012 წლისთვის სოციალური დახმარება თითქმის გაორმაგდა, 2015 წელს კი უზრუნველყოფილი იქნება პროგრამა და ეს დახმარება მიზნობრივი გახდება“, – განაცხადა კაკაურიძემ, რომელიც მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, რომ საშემოსავლო გადასახადი 20 პროცენტიდან 18 პროცენტამდე შემცირდეს. არადა, ამ ნორმის ამოქმედება სწორედ დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპის შემოღებას შეეწირა.

თეონა მანაგაძე

◎ ალიანჩალიანი

აშენდება მიუსაფართა ახალი თავშესაფარი

როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ თბილისის ვიცე-მერმა ალექსანდრე მარგიშვილმა განმარტა, თავშესაფარი 2015 წელს აშენდება და ის 250 ბენეფიციარზე იქნება გათვლილი.

„თბილისის მერიამ ლილოს ტერიტორიაზე დავიწეთ ახალი თავშესაფრის მშენებლობა, უფრო კაპიტალურის, რომელიც 250 ბენეფიციარზე იქნება გათვლილი“, – განაცხადა მარგიშვილმა.

მისივე განმარტებით, ლილოს ტერიტორიაზე მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობისთვის ტენდერი უკვე დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე 200 ბენეფიციარისთვის თავშესაფარი მოსკოვის პროსპექტზე ფუქციონირებს.

ინტერპრესი

„ის დროა, ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს!“

საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე **„ინტერპრესნიუსი“** ექსპერტს საგარეო ურთიერთობების საკითხებში **თორნიკე შარაშენიძეს** ესაუბრა.

— ბატონო თორნიკე, მოგეხსენებათ, პრეზიდენტ პუტინის ფედერაციის საბჭოსადმი მიმართვა აქტიურად განიხილება. რუსი პოლიტოლოგის ლილია შევცოვას შეფასებით, პუტინის მიმართვის ძირითადი აზრი ასეთია — „ყირიმი ჩვენია“ რუსეთის ძირითადი იდეოლოგიაა; რუსეთი დარჩება „სამხედრო დროში“ და პუტინი, როგორც სამხედრო პრეზიდენტი გააგრძელებს ქვეყნის მართვას. რუსეთი პასუხს გასცემს დასავლეთს, რომელიც ცდილობს მისი განვითარების „შესაძლებლობების შეზღუდვას“. ცხადია, პუტინის მიმართვას საშინაო და საგარეო დანიშნულება ჰქონდა. ვინაიდან ჩვენთვის კრემლის საგარეო პოლიტიკა უფრო მნიშვნელოვანია, თქვენი აზრით, როგორი გახლდათ მისი გზავნილები საერთაშორისო თანამეგობრებისა და მეზობლებისათვის?

— ჩემი აზრით, სხვადასხვა მიზეზების გამო პუტინის გზავნილები უფრო შიდა აუდიტორიისათვის იყო გაკეთებული. საზღვარგარეთ პუტინის უკვე აღარავის სჯერა, მის დაპირებებს და დაშინებებს სერიოზულად, მარტივი მიზეზის გამო, არავინ აღიქვამს. ყირიმის ანექსიის შემდეგ იგი ვრცელი სიტყვით გამოვიდა, სადაც განაცხადა, რომ რუსეთი ყირიმის ანექსიით დაკმაყოფილებულია, ეს იყო რაც გვინდოდა და მოდით დღეიდან მეგობრულად ვიცხოვროთო. მაგრამ, ამას შემდეგ მოჰყვა რუსეთის მონაწილეობით დონბასში საომარი მოქმედებები. იქიდან მოყოლებული პუტინის დაპირებების არავის სჯერა, ვინაიდან მან დაპირება არ შეასრულა. და ეს მაშინ, როცა, სამწუხაროდ, დასავლეთი მზად იყო, გადაეყლაპა ყირიმის ანექსია, ეპატიებინა კრემლისათვის ყველაფერი და რუსეთთან ურთიერთობა ჩვეულებრივად გაეგრძელებინა.

რაც შეეხება მის მუქარას. მუქარა მუქარაა, მაგრამ არითმეტიკა არასოდეს ტყუის. თუ შევხედავთ ბოლო სტატისტიკურ მონაცემებს, რა დღეშია რუსეთის ეკონომიკა, ნავთობის ფასი, რა სჭირს რუსულ რუბლს, გასაგები გახდება, რომ პუტინის მუქარის უკან რეალურად არაფერი დგას. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი გაკოტრების პირას აღმოჩნდეს. ასე რომ, პუტინის მუქარები დასავლეთის მიმართ უფრო მიმართული იყო შიდა აუდიტორიაზე და მისი არსი ასეთი იყო — ჩვენ მაგრები და ძლიერები ვართ, არაფერს არ დავთმობთ.

პუტინის შანსი, რაღაცნაირად გამოძვრეს შექმნილი ვითარებიდან, არის ის, რომ დაანახოს დასავლეთს და მთელ მსოფლიოს, რომ რუსი ხალხი დგას მის გარშემო და რაც არ უნდა რთულ დღეში იყოს რუსული ეკონომიკა, მოსახლეობა მაინც მის გარშემო იდგება. ვნახოთ, ეს რამდენ ხანს გაგრძელდება. თუ პუტინმა ამას მიაღწია, ანუ მოსახლეობა მართლაც დარაზმული იქნება ლიდერის გარშემო, მაშინ, შესაძლოა, გაუძლოს ეკონომიკურ გაჭირვებას. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რამდენ ხანს გაუძლებს რუსეთის მოქალაქე იმას, რაც მას თავს პუტინის გამო დაატყდა.

— თავის მიმართავში პუტინმა გამოთქვა მზადყოფნა, დასავლეთთან ერთად „ეძებოს კომპრომისები“, მაგრამ იმავე ლილია შევცოვას აზრით, კრემლი კომპრომისისთვის მზად კი იქნება, მაგრამ მხოლოდ კულუარულ მოლაპარაკებებზე, რომელიც, კრემლისვე ვარაუდით, საშინაო პოლიტიკაში არ დაარღვევს „სამხედრო დროის“ ფორმატს. „შევცოვას განმარტებით, იმის გამო, რომ კრემლმა თავად აირჩია ქვეყნის მართვის „სამხედრო დროის“ ფორმატი, რომელიც ითვალისწინებს „ორივე მხრიდან“ თავშეკავების პოლიტიკას“, იგი დასავლეთს ვერ მისცემს კულუარებში მიღწეული კომპრომისების შესრულების გარანტიას. იმის გათვალისწინებით, რომ კრემლი არ მალავს ამბიციას, გავლენის ქვეშ მოაქციოს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, კერძოდ, უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ამ საკითხებზე დასავლეთსა და მოსკოვს შორის, პუტინის თქმით, „დიალოგი,“ სინამდვილეში კი, „ვაჭრობა“ შედგეს?

— რა თქმა უნდა, „ვაჭრობა“ არარეალურია ორი მიზეზის გამო. პირველი — მან დაკარგა ნდობა, მეორე — კრემლთან მსგავს მოლაპარაკებებში შესვლა ნიშნავს, რომ დასავლეთი გადაყლაპავს ყველაფერს და თავის პრინციპებს უღალატებს. ამას დასავლეთი უკვე მიხვდა, მათ შორის — გერმანიაც. მესამე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ამას უკვე არ დაუშვებს დასავლეთის საზოგადოება, რომელსაც პოლიტიკოსებზე ძალიან დიდი გავლენა აქვს.

ცივილიზებული სამყარო ხედავს, რომ რუსეთი იქცა სამხედრო ციხე-სიმაგრედ, ჩაკეტილ დიქტატურად, რომლსაც, სამწუხაროდ, ცივილიზებულ სამყაროსთან არავითარი საერთო არ აქვს. რუსეთმა ჩაიდინა არაერთი დანაშაული, მისმა მეამბოხეებმა ჩამოაგდეს სამგზავრო თვითმფრინავი და მერე ყველაფერს უკრაინას აბრალებდნენ. ვფიქრობ, რომ ყველაფერ ამის გამო რუსეთთან ყველანაირი დიალოგი დასავლეთსა და პუტინს შორის გამორიცხულია. შესაძლოა, კულუარებში იყოს ამის მცდელობები, ლავროვისა და მისი კოლეგების დონეზე, მაგრამ არა მგონია, მასზე სერიოზული განხილვები მოხდეს; არა მგონია, ცალკე რომელიმე სახელმწიფომ დაიჭიროს საქმე რუსეთთან და მასთან საიდუმლო გარიგება შედგეს სხვების თანხმობის გარეშე.

ახლა, როცა რუსეთს გერმანიამაც შეაქცია ზურგი და საფრანგეთიც არ აძლევს „მისტრალს“, ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ წავა პუტინთან გარიგებაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ავტომატურად ნიშნავს ევროკავშირთან ურთიერთობების გაფუჭებას, რომელზეც ისინი პრაქტიკულად ყველანი ჩამოკიდებული არიან. ასე რომ, ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია. მე არც კი ვიცი, რა უნდა ქმნას პუტინმა იმისთვის, რომ ვითარება სათავისოდ შემოატრიალოს და მასთან დასალაპარაკებლად ვინმე დაჯდეს. ცალსახაა, რომ მათ პუტინი აღარ უნდათ და ამით ყველაფერი ნათქვამია.

— აშშ-ის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია რუსეთის პოლიტიკა მეზობლების მიმართ. ვაშინგტონმა მოსკოვს მოუწოდა, გააუქმოს ყირიმის უკანონო ანექსია, გაიყვანოს შეიარაღებული ძალები უკრაინიდან, საქართველოდან და მოლდოვიდან და შეწყვიტოს სეპარატისტების პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური მხარდაჭერა. ევროკავშირმა რუსეთს უკრაინაში მოქმედებების გამო სანქციები კი დაუწესა, მაგრამ მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ ევროპული ქვეყნების გარკვეული ნაწილი მაინც „გაგებით“ ეკიდება რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპების აშკარა დარღვევას. თქვენ კი ბრძანეთ, რომ კრემლის პოლიტიკამ, ევროპა და აშშ ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ, არ გაამართლა, მაგრამ იგივე საფრანგეთის, გერმანიის ანაც სკანდინავიის რიგ ქვეყნებში გააქტიურებული არიან რუსეთის მხარდამჭერი მემარცხენე მოძრაობები...

— რა თქმა უნდა, ევროკავშირი და ამერიკა ყველაფერში ვერ თანხმდებიან, მაგრამ „პუტინის წყალობით“ ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ რუსეთთან ურთიერთობის წინანდებურად გაგრძელება წარმოუდგენელია. რაც შეეხება ევროპაში რუსეთის მიერ დაფინანსებულ მემარცხენეებს და კიდევ სხვადასხვა ძალებს, მათაც აშკარად უჭირთ ახლა მუშაობა, ვინაიდან ევროპული საზოგადოებრივი აზრი რუსეთის წინააღმდეგაა და ამის გამო მათ რუსეთის სასარგებლოდ მუშაობა კიდევ უფრო გაუჭირდებათ. დღევანდელ ვითარებაში რუსეთის დაცვა საკმაოდ ძნელია.

ამერიკა რუსეთთან კონფრონტაციის საკითხში ყოველთვის იქნება ევროპაზე უფრო წინ. ევროპაში ის სახელმწიფოები, რომლებიც ქმნიან ამინდს, გერმანია და საფრანგეთი, როგორც ჩანს, მათ პუტინი ყელში ამოუვიდათ. რაც შეეხება სანქციებს. შესაძლოა, ევროკავშირის სანქციებმა რუსეთი არ დააქციოს, მაგრამ ფაქტია, რომ სანქციების გამო ორივე ზარალდება. ახლა სანქციები მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაც რუსეთს ადგება ნავთობის ფასების დაცემის გამო. ამ ეტაპზე ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

— გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემამ The Economist-მა საქართველოს სარედაქციო წერილი მიუძღვანა სათაურით - „ოცნება გადაიდო“. მასში საუბარია იმაზე, რომ უკრაინაში განვითარებული პროცესების გამო საქართველო ახლა უფრო დაუცველია, ვიდრე ოდესმე. „თუ უკრაინა რუსეთის ზეწოლისა და საკუთარი შეცდომების გამო ინგრევა, შესაძლოა, მომდევნო სამიზნე საქართველო აღმოჩნდეს“. სტატიაში ასევე საუბარია იმაზე, რომ რუსეთთან ვალდებულებების გამო საქართველო არ შეუერთდა ევროპულ ეკონომიკურ სანქციებს, ანუ, რა უნდა ვიფიქროთ, დასავლეთის გავლენიანი წრეები გაკვირვებული არიან რუსეთის მიმართ ოფიციალური თბილისის მიერ გატარებული პოლიტიკით, ურთიერთობების ილუზორული ნორმალიზაციით, რომელსაც შედეგის თვალსაზრისით არც არაფერი მიუტანია? თუ რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ღვინისა და მინერალური წყლის რუსულ ბაზარზე დაშვებას...

— რაც შეეხება სანქციების დაწესებას. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია, მაინც ვერ დავეთანხმებით სტატიის ავტორებს იმაში, რომ საქართველოს აქვს იმის თავი, რომ რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაადოს. საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ მძიმე დღეშია და ეს დაადასტურა ლარის კურსის რყევამ. ასეთ ფონზე ჩვენ რუსეთისთვის სანქციების დადება არ შეგვიძლია. სხვა საქმეა, რატომ მივიდა საქმე აქამდე.

რაც შეეხება უკრაინისადმი ჩვენს დამოკიდებულებას. სამწუხაროა, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა საკმაოდ ჩამოუყალიბებელი, ხშირ შემთხვევაში ქაოტური და არაკოორდინირებულია. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ერთს ამბობდა საგარეო საქმეთა სამინისტრო, მეორეს — პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე. ასეთი რამ დღემდე ხდება. ჩვენ ვნახეთ გაუგებარი და ძალიან უჩვეულო საჯარო შეხლა-შემოხლა თედო ჯაფარიძესა და ზურაბ აბაშიძეს შორის. ვიმეორებ, ჩემი აზრით, ქვეყანას საგარეო პოლიტიკა საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ აქვს. ეს კი აისახა უკრაინასთან დამოკიდებულებაში. ჯერ იყო კიევის მიმართ აბსოლუტური სიცივე დამოკიდებულებაში, უკრაინაში მიმდინარე პროცესისაგან ყოველნაირი გარიდება, შემდეგ აბსოლუტურად გაუგებარი განცხადებები „ქართული ოცნების“ ლიდერების, თუ როგორ გაბედეს უკრაინაში თანამდებობაზე წინა ხელისუფლების წარმომადგენლების დანიშვნა. შემდეგ იყო ივანიშვილის განცხადება, რომ „რა მოხდა მერე, ცუდი არაფერი მომხდარა“. შემდეგ სხვებმა გადაბრუნეს პლასტიკა და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანას საგარეო პოლიტიკა ჩამოყალიბებული და ბოლომდე გააზრებული არა აქვს. ეს ნათლად გამოჩნდა უკრაინასთან მიმართებაშიც.

— The Economist-ის მტკიცებით, პუტინი საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად არ აღიქვამს. „მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ჩარევა ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული, უფრო სავარაუდოა, რომ კრემლი საქართველოს პოლიტიკური სისუსტით ისარგებლებს. თუ რუსეთი ვერ შეძლებს საქართველოს საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას, მაშინ მოსკოვი შეეცდება სიტუაციის ისე დესტაბილიზაციას, რომ ეს დასავლეთისათვის რაც შეიძლება უსიამოვნო იყოს. ბოლო 2 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები ამ ამოცანის რეალიზებას აადვილებს“. რამდენად დიდია ალბათობა, რომ კრემლმა საქართველოზე კონტროლის აღსადგენად საქართველოში დესტაბილიზაციისა და „მართვადი ქაოსის“ გზა აირჩიოს?

— იმედი მაქვს, რომ საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას გააზრებული აქვს, რომ ჩვენ ახლა საკმაოდ სახიფათო ეტაპზე ვიმყოფებით და საქართველოს ბედი მათ ხელშია. და თუ ახლა ხელისუფლება თავს ვერ გაართმევს ქვეყნის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტას, ისინი არა მარტო საკუთარ თავს, ქვეყანასაც დაღუპავენ.

იმედი მაქვს, ხელისუფლება გააცნობიერებს, რომ ახლა საქართველოს სჭირდება ძალიან სერიოზული მუშაობა, რათა ქვეყანა გამოიყვანონ მძიმე მდგომარეობიდან. შექმნილ სიტუაციაში შიდა პოლიტიკაში ჩხუბისა და დავის დრო აღარ არის, იგი უნდა დასრულდეს და ყურადღება გადაიტანონ სხვა ამოცანებზე.

ბოლოს და ბოლოს, მკაფიოდ უნდა გაიწეროს, რა გვინდა და რუსეთისაგან რას ველოდებით. როგორ შეიძლება დავალაგოთ უკრაინასთან გაფუჭებული ურთიერთობები, რაც სამწუხაროდ, კიევის ბრალი სულაც არაა და ჩვენი ბრალია. რა უნდა ვუყოთ ლარის კურსს და ეკონომიკას, ახლა სახელმწიფომ ამაზე უნდა იფიქროს და არა იმაზე, რომ სადმე ნაციონალი არ დაინიშნოს, რომელიმე ეთერში ნაციონალი არ გამოვიდეს და ასე შემდეგ. ეს უნდა დასრულდეს.

თუ ნაციონალებთან ბრძოლას აქვს ერთი მიზეზი, რომ მომავალ არჩევნებზე მოიგოს „ოცნებამ“ და წააგონ ნაციონალებმა, ეს ბრძოლა მეორეხარისხოვანია. ვგულისხმობ იმას, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს ყველა ვარიანტში წააგებს, თუ გაექცევა ლარი და ქვეყანას მიიყვანს კრიზის პირას. თუ ხელისუფლებას 2016 წლის არჩევნების მოგება უნდა, უნდა მიხედოს იმ პრობლემებს, რაც ეკონომიკასა და ქვეყანაშია. აქ კი საკმაო ბევრი პრობლემა რომ არის დაგროვილი, საკამათო არ უნდა იყოს. თუ ხელისუფლებას არ აქვს გაცნობიერებული, რომ რუსეთი ჩვენი სისუსტით ისარგებლებს, მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი თავის თავსაც დაღუპავენ და ქვეყანასაც.

— ექს-პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, არანაირი ბერკეტები არ მაქვს, რომ პოლიტიკაში ჩავერიოო. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პოლონეთში ყოფნისას განაცხადა — უკეთესი იქნებოდა, ივანიშვილს ღიად ეთქვა, რომ იგი პოლიტიკაშია. მოკლედ, ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართულობა კვლავ აქტუალური თემაა. თქვენი აზრით, გაითვალისწინებს თუ არა ივანიშვილი მარგველაშვილის რჩევას, აღიაროს პოლიტიკაში მისი აქტიური მონაწილეობა?

— ალბათ, მარგველაშვილის რჩევას არ გაითვალისწინებს, ვინაიდან მათ შორის ურთიერთობები გაფუჭებულია. მეორე მხრივ, არ ვიცი, რა აზრი აქვს იმის მალვას, რომ ივანიშვილს გავლენა აქვს პოლიტიკაზე. ამის უკვე აღარავის სჯერა, ამას ყველა, მათ შორის, ხანდახან პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილიც აღიარებს.

ჩემი აზრით, საქართველოს ძალიან დიდი ზარალი მოუტანა იმან, რომ ივანიშვილი ფორმალურად წავიდა მთავრობიდან და არაფორმალურად დარჩა პოლიტიკაში. ამან შექმნა ქვეყანაში ამგვარი მმართველობის პრეცედენტი. ქვეყანას ჰყავს მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტი, მაგრამ რეალურად არაფერი გადაწყდება, თუ ყველაფერი ერთ კაცთან არ შეთანხმდა. ეს კი ძალიან ცუდი რამაა. ჩემი აზრით, საჭიროა, ივანიშვილი ოფიციალურად დაბრუნდეს პოლიტიკაში. მას პასუხიმგებლობა აქვს აღებული ქვეყნის წინაშე. მან არჩევნები მოიგო, ხალხს იმედი მისცა. ახლა ის დროა, ივანიშვილი მიხვდეს, რომ მისი პოლიტიკაში დაბრუნების დროა.

— აშკარად პოლიტიკური შეფერილობა ჰქონდა პუტინის აქტიური მხარდამჭერი მომღერლის გრიგორი ლეპსის თბილისში გამართულ კონცერტს. როგორც ვიხილეთ, კონცერტზე მოსახვედრად დიდი თავპირის მტვრევა იყო. არადა, მან საჯაროდ ღიად დაუჭირა მხარი ყირიმის ანექსიას. რა უნდა ვიფიქროთ, ხალხს რუსული ესტრადა მოენატრა, თუ კონცერტზე მისული ხალხიც მხარს უჭერს პუტინის პოლიტიკას და ყირიმის ანექსიას?

— საქართველოში ყოველთვის მოიძებნება რამდენიმე ათასი კაცი, რომ ლეპსის მსაგავსი მომღერლის კონცერტზე წავიდეს. ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა ლეპსის მუსიკის ქომაგებს უნდა გაუგზავნოს მკაფიო გზავნილი — ოკუპანტი ქვეყნის მომღერლის კონცერტზე სიარული, რომელიც ღიად უჭერს მხარს მეზობლების მიმართ მისი ქვეყნის აგრესიულ პოლიტიკას, ყირიმის ანექსიას, არ არის კარგი საქციელი. მით უმეტეს, თუ ეს მომღერალი აბსოლუტურად უნიჭოა.

კოგა გენდელიანი

საით მივდივართ?!

ცნობილ ექსპერტ-თეორეტიკოსთა შეფასებით, მსოფლიო გლობალური ომისთვის ემზადება. და უნდა გავაკეთოთ არჩევანი: სად არის ჩვენი ადგილი?! ვიყოთ მარტო, სუვერენული (ნეიტრალური) ქვეყანა, თუ ავირჩიოთ რეგიონული კავშირი – მსგავსი ან საერთო კულტურული ნიშნით?! ჩვენი მართლმადიდებელი „მეგობარი“ რუსეთი ქმნის გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას **„ევრაზიული კავშირის“** სახით და ეს სწორედ „დიდი მზადების“ ეტაპია. ჩავიხედოთ მათ პროექტებში: **„ევრაზიული კავშირის მსგავსი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შექმნა, შესაძლებელს გახდის გადაავადოს რუსეთის უშუალო ჩართვა ომში. ეს შეიძლება უზრუნველვყოთ კოალიციური სიძლიერის ჯერადი ზრდით და ბუფერული სასაზღვრო ზონების შექმნით, რამდენადაც, წინა ომების გამოცდილებით, აქ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები შეიძლება არც გავრცელდეს მეტროპოლიის ტერიტორიაზე, და ეს არის საკვანძო საგარეოპოლიტიკური ამოცანა“** (რუსი მეცნიერების – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის წევრების მოხსენებიდან.). ამგვარად, რაიმე კავშირში გაერთიანებით, ჩვენ სხვის ომში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას, როგორც მოკავშირე, ხოლო ევრაზიულ კავშირში შესვლით რუსეთისთვის პირდაპირი მნიშვნელობით ბუფერად – „დამცავ ზონად“ ვიქცევით – ეს მათი „საკვანძო საგარეოპოლიტიკური ამოცანაა“!!

იმის მიუხედავად, რომ ქვეყნები, როგორც წესი, თავიანთ ინტერესებს ცივილიზაციის შინაარსის გათვალისწინებით განსაზღვრავენ, **ჩვენნაირი ჩამოუყალიბებელი და მაძიებელი ქვეყნისთვის ფუნქციის შეძენა ან ადგილის „პოვნა“ საკმაოდ რთულია.** მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნები სრულიად განსხვავებულ ცივილიზაციებს მიეკუთვნებიან, ამასთან, ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობენ. **ჩვენს რეგიონშიც კი, კავკასიურ სახელმწიფოთა ინტერესები სამად იყოფა და სხვადასხვა მიმართულებით აირეკლება. ამიტომ, ჩვენი განვითარების ამოსავალი ფუნქცია თუ სამოქმედო სტრატეგია, დროში და გარემოებებში მუდმივი ადაპტაცია და შესაბამისად – მუდმივი აკადემიური კვლევის საგანი უნდა იყოს.**

მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად და საქართველოში თაობათა შეცვლის პარალელურად, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული განვითარების კონცეფციები უნდა იწერებოდეს და მერე იცვლებოდეს. ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია – ფეხი ავუწყოთ ეპოქალურ ცვლილებებს და მოვახდინოთ ადაპტირება. დღეს, „ცივი ომის“ შემდეგ – 1990-ანი წლებიდან, უკვე მეორედ იცვლება მსოფლიო წესრიგი. საქართველოს კი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული განვითარების გზამკვლევი რუკა, ამ გლობალურ „ნაბიჯებში“ არ აქვს... არადა, აზროვნებისა და პოლიტიკური საქმიანობისთვის, რაღაც გამარტივებული რუკა-მოდელი, როგორც ორიენტირი, უნდა გვქონდეს. სხვა შემთხვევაში, მოგვიწევს ვამტკიცოთ, რომ ვმოქმედებთ რაღაც „ობიექტური ფაქტორების“ ზეგავლენით, და თან ურთულეს – „მდუღარე“ რეგიონში. მაგრამ, ამით მხოლოდ თავს მოვიტყუებთ. საჭიროა თეორიული სტრატეგიის შემუშავება, კვლევები და უდავო და ერთიანი ეროვნული პოლიტიკური სტანდარტის განსაზღვრა, მათ შორის, კავკასიური ეთნო-ეროვნული რეალობის და საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია, რომ ახალი – XXI საუკუ-

დასასრული. დასაწყისი იხ. № 249

ალტერნატიული მომავალი – საქართველოს ადგილი გლობალურ სამყაროში

ნის გეოპოლიტიკური კონცეფცია დღეს არც დასავლურ ცივილიზაციას აქვს. ის ახლა იქმნება, რადგან „იძულებულია დაიბადოს“. მაგრამ, როგორც ნებისმიერ პარადიგმაში, აქაც იქნება აბსტრაქცია, არასრულყოფილი თეორიები, ანომალიები და თეთრი ლაქები, თუნდაც ჩვენნაირი – განუსაზღვრელი კონცეფციის და ორიენტაციის ქვეყნების სახით. ამიტომ, უნდა ჩამოვყალიბდეთ და მსოფლიოს ახალ გლობალურ კონცეფციაში, როგორც უძველესი სახელმწიფო, ღირსეულად დავფიქსირდეთ.

ჰეროდოტეს დავუბრუნდეთ... საქართველო, გეოგრაფიული თვალსაზრისით, დღესაც რჩება მსოფლიოს განსხვავებულ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და გზაგასაყარის ცენტრად. ე.ი. დღევანდელი მსოფლიოს ეს გეოგრაფიული რეგიონი ფუნქციურად დღესაც მნიშვნელოვანია თავისი ეროვნულ-კონფესიური, კულტურული მრავალფეროვნების და რეგიონის პოლიტიკური აქტივობების გათვალისწინებით.

სწორედ აქედან – საქართველოდან იწყება დასავლეთი და აღმოსავლეთი, აქ იკვეთება ცივილიზაციები, რელიგიური განშტოებები, მათ შორის, ქრისტიანული (მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული) და ისლამური (სუნიტური და შიიტური) მიმდინარეობები; თავმოყრილია უძველესი წარმოშობის და კონფესიების ხალხები (ებრაელები, ქურთები, იეზიდები, ასირიელები და ა.შ.), და ამ მრავალფეროვნების მხრივ, ამ „კულტურათაშორის ცენტრში“ (სახელმწიფოს წიაღში) სრული, ისტორიული სიმშვიდეა - უნიკალური ტოლერანტობაა. ეს ფაქტორიც, ცივილიზაციათა დიალოგში, შემეცნების თვალსაზრისით, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია, შესასწავლი და შესაფასებელია. როგორც განსხვავებული ინტერესების გეოგრაფიულ გზაგასაყარს, ჩვენ „რაღაც“ გეოპოლიტიკური მისია და ფუნქცია მართლაც გვაკისრია.

ჰეროდოტემ თავის რუკაზე, ალბათ, შემთხვევით არ მოგვიჩინა „ცენტრის“ პოზიცია. ისტორიის ნებით, 2500 წლის მერე აქ ცივილიზაციის მწვერვალი არა, მაგრამ კულტურათაშორისი ურთიერთობის შემეცნების ცენტრი და გზაგასაყარი ჩამოყალიბდა. ამგვარად, ეს ის „ბუნებრივი“ გეოგრაფიული ადგილია, სადაც საერთაშორისო ინსტიტუტები მსოფლიოს პრობლემათა შესწავლის და გადაწყვეტის სფეროში, ალბათ, წარმატებით იფუნქციონირებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალის კავკასია, ამ საუკუნეში, ნებისმიერი სახის დიალოგისთვის საერთაშორისო „სიმშვიდის ცენტრის“ ფუნქციას დაიმკვიდრებს.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის (ცივილიზაციის) საიდენტიფიკაციო კონცეფცია მხოლოდ აბსტრაქციაა – პირობითობაა დროში „მოგზაურობის“ რაღაც ეტაპზე. მაგრამ ქვეყნის ფუნქციის განმსაზღვრელი გზამკვლევი აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ორიენტაციისთვის, რომ არ დავიკარგოთ – სად ვართ და საით შეიძლება წავიდეთ! ამიტომ, **განუსაზღვრელი კამათი, ჩვენს შეზღუდულ არჩევანზე, არ ვარგა. ქვეყანა კონცეპტუალურად „შეკრული“ უნდა იყოს. თანაც, ჩვენი „არჩევანი“ ჩვენს გეოპოლიტიკურ მეგობრებსაც დაეხმარება ჩამოყალიბდეს და რეალურად შეგვაფასოს, ვინც ასეთად თვლის თავს და გვეხმარება, ან ვისაც „უნდა“ ასეთი იყოს და ჩვენზე „მუშტრის“ თვალი უჭირავს.**

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია თამამად უთხრას მსოფლიოს, რომ მას თვითმყოფადი კულტურის საკუთარი, დამოუკიდებელი ისტორია აქვს, რომლის საფუძვლებიც ევროპის ცივილიზაციის ისტორიაზე ძველია. და ის მხოლოდ მართლმადიდებლური კულტურით არ განისაზღვრება, რადგან სცილდება რელიგიის ფაქტორს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია – ადამიანის არსებობის და აზროვნების ყველა სფეროში. ეს თვითმყოფადი კულტურა, დოკუმენტურად კარგად აისახა ყველაზე უტყუარ და წარმომადგენლობით სფეროში – ხალხურ პოეზიაში, სიმღერაში და ცეკვაში, როგორც ეროვნული ფილოსოფიის, არისტოკრატიზმის, რაინდობის და ზოგადად, საკაცობრიო ფასეულობათა უმთავრესი ღირებულებების გამომხატველი.

დაბოლოს, წარმოდგენილი სტატია მეცნიერულად დახვეწილი, ცხადია არ არის, არც ზედმიწევნით კორექტულია. ამიტომ, ეს ზედაპირული მიმოხილვა, იმედია, კვლევის პრეტენზიად არც ჩამეთვლება. ამ თემაზე მობილიზებული მკვლევარი, მით უფრო გეო-პოლიტოლოგი, არ ვარ. მე უფრო ჩემი შვილების დამრიგებელი – ახალი თაობის ქართველთა, ასევე აფხაზთა და ოვსთა მრჩეველი მინდა ვიყო, და ეს წერილიც სწორედ მათ ეძღვნება!!

ნუკრი მიხანაშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩაზები

● **ჩინური წარმოების რაინდები პოლონეთის ბაზარზე იაფად: თუ შეიძენთ ორს, საჩუქრად გადმოგეცემათ გასაბერი პრინცესა!**

● **200-მდე პოლიტპატიმარი რომ აღიარეს, ვინმე დაისაჯა, თუ თავისი სურვილით ჩაჯდა ეს ხალხი ციხეში?**

● **ახლობელი შემხვდა, უნდა წავიდე უკრაინაში საომრადო, დავიღალე უმუშევრობით, ცოლი საბერძნეთშია, სამი ბავშვი დედის გარეშეა, უკვე 7 წელია, ქალის არაადამიანური შრომით ვარსებობთ, მე წავალ და დედა დაუბრუნდება შვილებს. ხუთი ათასი მექნება ხელფასიო.**

რა მეთქვა, არ ვიცოდი, სამწუხაროდ ზუსტად ვიცი, რომ არაფერი გვეშველება!

● **დეპუტატმა ვოლსკიმ, რაინდობის მიმცემ ვოლსკის, საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.**

● **ჟენევის ფორმატი, ნატოს კარზე დაუსრულებელი კაკუნის პონტში გადის?**

● **ნეტა პარლამენტში რამდენი ვალოდია ჯინჭარაძეა?**

● **აქ ვნახე: „ნინო ბურჯანაძე ლეპსის კონცერტზე“;**

როგორც მახსოვს, სპორტის სასახლეში 10 000 კაცამდე ეტევა და სათითითაოდ უნდა „ვამხილოთ“ ყველა?

● **დღეს ისე დათბა, რუსთაველზე ნაძვის ხის მაგივრად ნაყინის აპარატი დადგეს.**

● **ეს რომან გოცირიძე სპირტში ხომ არ ედოთ? მშვენივრად შემონახულა...**

● **ლარწაღებულნი.**

● **სანტამ წერილზე მიპასუხა: მაგდენ სესხს vivus-ი არ მომცემსო.**

● **ძალიან მაგრად მეცინება იმ ხალხზე, „ბიზნესის ადმინისტრირებას“ რომ ამთავრებენ. რომელი ბიზნესის? რა მოთხოვნაა?**

რა დაკვეთაა?

● **დღეს მიამბო მეგობარმა, თუ რა ხდება მის სამსახურში, ერთ-ერთ დეპარტამენტში. ღრმად ჩავწვდი პრობლემას, ბიუჯეტს ხრავენ აქტიურად, არავინ ამოწმებს, ბიძოს დანიშნული კადრია უფროსი, სრული დებილი, ხოლო, ვინც უნდა შეამოწმოს, იმ კანტორის უფროსის შვილი მათთან ვითომ მუშაობს, რეალურად, მხოლოდ ხელფასზე მოდის. ადრე არ მიფიქრია იმაზე, თუ რამხელა უბედურების მომტანია ნეპოტიზმი.**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა 15 აპრილამდე არ ექნებათ

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების მიღება მოქალაქეებს 2015 წლის 15 აპრილიდან შეეძლებათ.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების სამსახურს ეკისრება ვალდებულება, 2015 წლის 1 იანვრიდან იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის საქმეების გარდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც განახორციელოს. პარლამენტში კი ამასთან დაკავშირებით წარდგენილია საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვით, აღნიშნულ სამსახურს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების გაწევის ვალდებულება 2015 წლის 15 აპრილამდე გადაუვადდება.

ამასთან დაკავშირებით პროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ვადის გადაწევა აუცილებელია იმისთვის, რათა იურიდიული დახმარების სამსახურმა, 2015 წლის სახელმწიფოს ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების ფარგლები, კონკურსის გამოცხადება და სათანადო პერსონალის შერჩევა უზრუნველყოს.

ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახური ვალდებული იქნება იურიდიულ დახმარება იმ შემთხვევაში განახორციელოს, თუ პირი, რომელსაც იურიდიული დახმარება ესაჭიროება გადახდისუუნაროა და მისთვის დახმარების გაწევა მიზანშეწონილია საქმის მნიშვნელობიდან ან სირთულიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, ფინანსური სახსრებისა და შტატების სიმცირის გამო, საკონონმდებლო ინიციატივით შემოთავაზებულია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობის ვალდებულება 2016 წლის 1 იანვრამდე გადავადდეს.

ინტერპრესი

სავალუტო კურსი

საით „მიერეკება“ ლარი?

წლეულს დოლარის საშუალო კურსს, 1,75 ლარს, თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ, ოქტომბრის შემდეგ, დოლარის გამყარების ფეხდაფეხ, ლარი მის მიმართ უცბად გაუფასურდა. ამ პროცესმა მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რაც სავსებით ბუნებრივი რეაქციაა: ავტომანქანების საწვავზე (კერძოდ, გაზზე), გასულ ორშაბთის ნ-თეთრიან გაძვირებას, შესაძლოა, სხვაც მოყვეს, გაძვირდა გარკვეული სახეობის სასურსათო საქონელი, მაგრამ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მაინც ბანკებიდან ვალუტით აღებული კრედიტების მოვალეები აღმოჩნდნენ, რომლებსაც შემოსავალი ლარებით აქვთ, პროცენტების დაფარვა კი იმავე ვალუტით არ უწევთ. გარკვეულწილად შემცირდა უცხოეთიდან სავალუტო გზავნილების ოდენობა, რომელთა ოდენობა ქვეყნის მიერ მიღებული გრანტების ოდენობასაც კი სჭარბობდა. რა ხდება, რა არის ყველაფერი ამის მიზეზი, რა დონემდე შეიძლება გაუფასურდეს ლარი, რა ზღვრამდე გაიზრდება იმპორტული საქონლის ფასები, რომლებსაც ქვეყნის შიდა ბაზრის უდიდესი ნაწილი უკავია? ეს და კიდევ მრავალი სხვა კითხვა საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქეს აინტერესებს, ვინაიდან მათ სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. სიმართლე რომ ვთქვათ, პასუხები მრავლად გაისმის, ოღონდ ხშირად მთქმელის საკუთარი პოლიტიკური შეფერილობასა და ინტერესებთან „შეხამებული“, ზოგჯერ კი, სულაც, აშკარად მიუღებელი.

მაინც, რა არის ლარის კურსის ცვლილების მიზეზი? ზოგადად, იგი ვალუტის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის მოთხოვნა-დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული, ანუ ამ ორი კონკურენტული ვალუტის თანაფარდობაზე: **თუ დოლარის მასა იზრდება, მისი ლარით გამოხატული ფასი იკლებს, ხოლო თუ კი გაცვლით ბაზარზე დოლარის დეფიციტია, მისი ერთეულის ფასიც მატულობს, ანუ ის მყარდება.**

ვიდრე ლარის კურსის ახლანდელი ვარდნის მიზეზებს მიმოვიხილავდეთ, ამასთან, ასევე მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარებზე ექსპერტთა აზრს მოგახსენებდეთ, ვნახოთ, განვლილი წლის მანძილზე **როგორი იყო ამერიკული დოლარისა და სხვა ვალუტების ურთიერთობა. ამ ხნის მანძილზე დოლარის მიმართ, გაუფასურდნენ: ევრო (12,5 პროცენტით), შვეიცარიული ფრანკი (9 პროცენტით), ბრიტანული გირვანქა სტერლინგი (4,9 პროცენტით), რუსული რუბლი (65 პროცენტით), ავსტრალიური დოლარი (10 პროცენტით), იაპონური იენა (19 პროცენტით), თურქული ლირა (10 პროცენტით), ჩინური იუანი (2,3 პროცენტით), სხვები.**

რაც შეეხება ჩვენში ლარის კურსის ვარდნას, ექსპერტთა და ოპოზიციური პოლიტიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი ფინანსთა სამინისტროს მიერ წლის მანძილზე გატარებული ფისკალური პოლიტიკაა, ზოგიც ბიუჯეტის არათანაბარ ხარჯვას ასახელებს. ბევრნი ლარის დაცემას საქართველოს ეროვნული ბანკის „ჩავარდნად“ აფასებს, რომელიც ფასების სტაბილობაზეა პასუხისმგებელი, რის გაკეთება ლარის გაცვლითი კურსის მდგრადობის შეუნარჩუნებლად შეუძლებელია. უნდა ითქვას ისიც, რომ, როცა საქართველოში ლარის კურსის საგრძნობი (15-პროცენტიანი) ვარდნა ბოლოს დაფიქსირდა (2011 წელს), მის შესაჩერებლად ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა და საპროცენტო განაკვეთი 8 პროცენტამდე გაზარდა ისევე, როგორც მოუმატა კომბანკებს ვალუტით რეზერვების ნორმას, რამაც, არსებითაც, ეკონომიკაში ფულის მიწოდების საგრძნობი შემცირება გამოიწვია და ინფლაციის მაჩვენებელიც შემცირებისკენ წავიდა. მაგრამ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მას შემდეგ (ანუ 2014 წლამდე) ორნიშნა ინფლაცია დეფლაციაში გადაიზარდა, რაც ასევე მეტად საზიანო პროცესია. ახლა კი უკვე, პირიქით, მონეტარული პოლიტიკის შერბილება გახდა საჭირო და საპროცენტო განაკვეთიც 3,75 პროცენტამდე შემცირდა. ამის შედეგად, ეკონომიკისთვის ეროვნული ვალუტით კრედიტების გაცემა წახალისდა, სესხების ოდენობა, ბოლო ორი წლის მანძილზე, 70 პროცენტზე მეტად გაიზარდა, ხოლო დოლარით გაცემული კრედიტების მოცულობა — მხოლოდ 20 პროცენტით. ამდენად, **ლარის გაუფასურებას დეფლაციაც უწყობს ხელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ლარის კურსის დინამიკაზე ასევე საგრძნობ ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის დინამიკა.** ბოლო ერთი წლის მანძილზე, იმპორტის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, რის შედეგად, ცხადია, ასევე გაიზარდა ქვეყნიდან ვალუტის გადინება: **ათ თვეში ექსპორტის მატებამ 5 პროცენტი, ხოლო იმპორტისამ 11 პროცენტი შეადგინა, იმპორტსა და ექსპორტს შორის ასეთი დისბალანსის შედეგად, საქართველოდან 581 მილიონი დოლარით მეტი „გავიდა“, რამაც, ბუნებრივია, ლარის ახლანდელ გაუფასურებაში საკუთარი, არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულა.**

ლარის დევალვაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება კიდევ მრავალი იყოს, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგარეო ვალის მომსახურება, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მიმოქცევაში არსებული დოლარის და ლარის მასების შეფარდება, თუმცა კი წლეულს ამ ფაქტორებს მიმდინარე პროცესებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია, რასაც ციფრები მოწმობს. ყველაზე საგულისხმო კი გარეშე ფაქტორები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებული „რაოდენობრივია შერბილების“ პოლიტიკიდან თანდათანობით მის გამკაცრებაზე გადასვლა, რასაც დოლარის გამყარება მოყვება (ამის მაგალითია ევრო, რომელიც ლარზე მეტადაა გაუფასურებული).

ამ მიზეზს არსებითად მიიჩნევს ეკონომიკის ექსპერტი **ემზარ ჯგერენაია,** რომელიც აღნიშნავს, რომ დოლარი მსოფლიოს წამყვანი ვალუტების მიმართ გამყარდა და ბოლო 7 წლის მანძილზე პიკს მიაღწია. მეორე მიზეზია მსოფლიო ბაზარზე ფასების შემცირება და, შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნის გაზრდა. მისი აზრით, მესამე მიზეზი კი მთავრობის შიდა პოლიტიკას უკავშირდება, რაც საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერი მართვა-გამოყენებითაა გამოწვეული, თუმცა კი ეროვნულ ბანკს ვითარების დარეგულირებისთვის სათანადო ბერკეტები ხელთ აქვს.

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლის **აზიმ სადიკოვის** აზრით, თუ ლარის კურსის მერყეობა ფასების მერყეობაში გადაიზრდება, ეროვნულ ბანკს ინფლაციის საანგარიშო მაჩვენებლამდე (ანუ 5 პროცენტამდე) დასაბრუნებლად საჭირო რეზერვები აქვს.

ეკონომიკის ექსპერტ **გია მაისაშვილის** თქმით, ლარის კურსის ვარდნას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, რომელთაგან ყველაზე მთავარია ის, რაც დოლარის გამყარებასა და ნავთობზე ფასის შემცირებას მოჰყვა, რამაც ლარზე (და არა მარტო მასზე) პირდაპირი ზეგავლენა იქონია. კიდევ ერთი მიზეზია ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, რაც, ერთგვარად, ეკონომიკური უპერსპექტივობის ნიშანია. ექსპერტს მიაჩნია, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად, უწინარესად, საჭიროა სრული დემონოპოლიზაცია, საგარეო ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადგილობრივი წარმოებისა და მომსახურების ხარისხის რაც შეიძლება მეტად გაუმჯობესება. მოსახლეობაში პანიკის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა მისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

ლარის კურსთან დაკავშირებულ მოლოდინებზე ლაპარაკობს ასევე ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე,** რომლებიც, მისი განცხადებით, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებს მთავრობა. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ეკონომიკის სტიმულირება არ მოხდება, ვერც ლარის კურსის დაბალანსება ვერ მოხერხდება. ლარის კურსის დროებით დაჭერა ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებების გაუტარებლად, მისი ხელოვნურად შემაგრება არ გამოვა, შედეგი კი, შესაძლოა, კიდევ უფრო მძიმე იყოს.

ოთარ ტურაბელიძე.

P. S. **ბოლო** დღეებში დოლართან მიმართებაში ლარის კურსის 1,75-დან 2,05-მდე გაუფასურებამ მოსახლეობაში მთლად პანიკა თუ არ გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში დიდი შიშები დააბუდა და გაცხოველებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უკვე მეხუთე დღეა ლარის კურსი თანდათანობით ქვევით იწევს, თუმცა კი, ექსპერტები მის ძველ (1,75-იან) ნიშნულზე დაბრუნებას ნაკლებად ვარაუდობენ. მათი პროგნოზით, გაცილებით უფრო რეალურია დოლარის 1,8-1,85 ლარის დონემდე ჩამოსვლა, რა პროცესიც, სავარაუდოდ, დეკემბერში დაბრუნდება. ბოლო კომენტარებში, სამთავრობო გუნდის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბიუჯეტის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება, რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, დაფინანსდება მხოლოდ გადაუდებელი პროექტები და სამუშაოები.

10 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დოლართან ლარის გაცვლითი კურსი 1,95-ით იყო განსაზღვრული, კომერციულ ბანკებში კი, მათ შორის, საქართველოს ბანკში, ბაზის ბანკში, ლიბერთი ბანკში, სხვებში, დოლარის ყიდვა-გაყიდვა 1,86-1,97 ლარის ფარგლებში იყო მოქცეული.

ო. ტ.

◎ აფხაზეთის ამბები

ერთობლივ ბიზნესსაქმიანობაზე შეთანხმდნენ

8-9 დეკემბერს ოკუპირებულ აფხაზეთში, რუსი და აფხაზი მეწარმეების მიერ ერთობლივი ბაზრობა-გამოფენა მოეწყო, რომელსაც „საქმიანი რუსეთის“ სახელით სპეციალური დელეგაცია სტუმრობდა.

ბაზრობის შემდეგ ოკუპირებული აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციის რამდენიმე ბიზნესმენმა თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღო.

ამის შესახებ ინფორმაცია ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელმა იური აიკინმა გაავრცელა.

მისი თქმით, სტავროპოლში არსებულმა კომპანია „იუნი-ფრუტმა“ აფხაზურ კომპანიასთან 500 ტონა ციტრუსის მიწოდების პირობით ხელშეკრულება გააფორმა.

„პროდუქტიული იყო კრასნოდარული ფირმა „დიალოგის“ წარმომადგენელთა ვიზიტიც, რომლებიც კონკრეტული წინადადებებით, 2015 წლის იანვარში დაბრუნდებიან სოხუმში.

მათ სურვილი გამოთქვეს, ბიჭვინთაში მუხის ექსტრაქტის ჩამომსხმელი ქარხანა ააშენონ. მოგეხსენებათ, ეს ექსტრაქტი ფართოდ გამოიყენება მეღვინეობაში, კონიაკის, ვისკისა და ბრენდის წარმოებაში“, — განაცხადა იური აიკინმა.

8-9 დეკემბერს სოხუმში ჩატარებულ ბაზრობას 30-მდე რუსი და აფხაზი ბიზნესმენი დაესწრო.

მეწარმეების მორიგი ერთობლივი გამოფენა-ბაზრობა ოკუპირებულ აფხაზეთში 2015 წლის მაისში, საკურორტო სეზონის დაწყებამდე გაიმართება.

არჩევნები ერთი წლით გადაიდო

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლოს 2011 წელს გაიმართა. მორიგი არჩევნები 2015 წლის თებერვალში იყო დაგეგმილი, თუმცა, ე. წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ინიციატივით და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებით, დანიშნული ვადა შეიცვალა.

ადგილობრივი არჩევნები ოკუპირებულ აფხაზეთში 2016 წლის აპრილში ჩატარდება.

ხაჯიმბას მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო რეფორმების მიღებამდე არჩევნების ჩატარება უპრიანი არ იქნება. მით უმეტეს, როცა აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის ახალი ნიმუშების გაცემაც 2015 წლის იანვრიდან დაიწყება და შესაბამისად, ვისაც საბუთები წესრიგში არა აქვს, თებერვლამდე ყველა ვერ მოასწრებს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას.

„მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომავალ არჩევნებამდე გალის მოსახლეობის სტატუსიც აუცილებლად უნდა განისაზღვროს და მათი საკითხიც მოგვარდეს“, — აღნიშნა ხაჯიმბამ ოკუპირებული აფხაზეთის სამთავრობო წრეებთან შეხვედრისას.

ХА-ЭИЗ-ЭНА

◎ ალიანჩალიანი

ანაკლიის პორტის ამშენებელი გაისად გამოვლინდება

კონსორციუმი, რომელიც ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურს ააშენებს, 2015 წლის ზაფხულში გამოვლინდება.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის სამთავრობო კომისიამ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 12 მონაწილე მსხვილი კონსორციუმიდან მეორე ეტაპზე 7 გადაიყვანა.

მეორე ეტაპზე გადასულმა კომპანიებმა პორტის განვითარების კონცეფცია და დაფინანსების წინადადებები უნდა წარადგინონ, რისთვისაც 4-თვიანი ვადა მიეცემათ; ტექნიკურ და ფინანსურ მხარეს კი საქართველოს მთავრობის მიერ დაქირავებული გერმანული კომპანია შეაფასებს.

12 კონსორციუმის მიერ ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე წარდგენილი წინადადებები ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის სამთავრობო კომისიის გუშინდელ სხდომაზე განიხილეს, რომელიც დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ХА-ЭИЗ-ЭНА

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ლოდი დაბრკოლებისა“: აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის დელიმიტაცია 2015 წელს დასრულდება

აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის მკაფიოდ განსაზღვრის პროცესი, შესაძლოა, უკვე მომავალ წელს დასრულდეს, — დაარწმუნა ჟურნალისტები აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხალაფ ხალაფოვმა. მისი თქმით, სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციის კომისია აპირებს, მომავალი წლისათვის დაასრულოს მუშაობა საზღვრების იმ მონაკვეთების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არაა შეთანხმებული ქართულ მხარესთან და რომლის სიგრძე საზღვრის საერთო პერიმეტრის ერთ მესამედს შეადგენს.

აზერბაიჯან-საქართველოს 480-კილომეტრიანი საზღვრიდან 160 კილომეტრი ჯერ კიდევ შეუთანხმებელია. მისი დელიმიტაცია (რუკაზე ზუსტად მონიშვნა) და დემარკაცია (ადგილზე გაყვანა) ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო ორმხრივ მთავრობათაშორისო კომისიის სხდომებზე, მაგრამ უკვე 2007 წელს გადაულახავი პრობლემა გაჩნდა: „დაბრკოლების ლოდად“ იქცა კულტურული და რელიგიური ღირსშესანიშნაობა — უმნიშვნელოვანესი სამონასტრო კომპლექსი ქეშიშ-დაღი, რომელიც ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 60 კილომეტრის მოშორებით.

ტერიტორიული დავა 1991 წლიდან გრძელდება. იყო მომენტები, როცა დავა დესტრუქციულ მონოლოგებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ქართულ მხარეს ერთი არგუმენტი აქვს: „ქართველები ქრისტიანები არიან და ამიტომაც მათ ხელში კოზირები აქვთ“. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ალბანური ეკლესია მდებარეობს, რომლებთანაც ჩვენს მოსახლეობას პირდაპირი კავშირი აქვს და მისი ბრალი სულაც არ არის, რომ ისტორიული პირობები ისე ჩამოყალიბდა (მოსახლეობის ისლამიზაცია, ქრისტიანული კულტურის ძეგლების „პრივატიზება“ მეზობლების — საქართველოსა და სომხეთის მიერ).

მაგრამ დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: ქეშიშ-დაღი წარმოადგენს წმინდა დავითის ლავრას, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიის გამყოფი მთის ორივე მხარეესაა გაფენილი. ქართველები მონასტერს „დავით-გარეჯს“ უწოდებენ და ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად მიიჩნევენ. ასე რომ, ეს საკითხი მტკივნეულია როგორც ჩვენი სახელმწიფოსათვის, ასევე ქართველი საზოგადოებისთვისაც. სხვათა შორის, ქართველი ბერ-მონაზვნები, რომლებიც მონასტერში ცხოვრობენ, ტურისტებს ეუბნებიან, რომ ყველაფერი ის, რაც ამ კულტურული ძეგლის ირგვლივ ხდება, იმ გეგმის ნაწილია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდშია შემუშავებული ქართველ-ქრისტიანებსა და აზერბაიჯანელ-მუსლიმანებს შორის შუღლის ჩამოგდების მიზნითო.

ქართულმა მხარემ არერთხელ შესთავაზა აზერბაიჯანს წინადადება ტერიტორიის გადაცვლის თაობაზე, მაგრამ განა მისაღებია ასეთი ვარიანტი? გასაგებია, რომ ამ კომპლექსს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა მარტო მისთვის... ოფიციალური თბილისი და სხვა მეზობლები ცდილობენ, რომ აზერბაიჯანი ქრისტიანული ველიდან მთლიანად გააძევონ... შეიძლებოდა, ბევრი გველაპარაკა ამ მცდელობების მიზეზებზე, მაგრამ ერთს აღვნიშნავთ: „ამ საკითხზე ვაჭრობა უადგილოა“ იმიტომ, რომ ჩვენი აზრით, ეს შუა საუკუნეების კომპლექსი ალბანური წარმოშობისაა, ხოლო თვით აღმოსავლეთ საქართველო კავკასიის ალბანეთის ნაწილი იყო.

სიტუაციის გამწვავებაზე გავლენა იმანაც მოახდინა, რომ 1970-იანი წლების ბოლოს მდინარე ალაზანმა, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ-ებს ჰყოფდა სიღნაღის რაიონის ტერიტორიაზე, კალაპოტი შეიცვალა და ამის შედეგად ჩვენი თანამემამულეების მიერ ათვისებული მიწები მდინარის იქით მხარეს დარჩა. საქართველომ 1980-იანი წლებში იქ სოფელი ერისიმედი გააშენა და მასში აჭარელი და პანკისელი მიგრანტები ჩაასახლა. ფორმალურად, ეს საქართველოს ტერიტორიაა, მაგრამ ჩვენი მხარე აცხადებს, რომ „ქეშიშ-დაღისა“ და ხსენებული სოფლის ტერიტორია აზერბაიჯანს ეკუთვნის.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ჰიქმეთ გაჯიევმა გაზეთ „კასპიის“ კორესპონდენტს ვრცელი კომენტარის გარეშე განუცხადა, რომ აზერბაიჯანი მომხრეა საქართველოსთან ტერიტორიული უთანხმოების საკითხი ტრადიციული კეთილმეზობლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე გადაიჭრას.

არის თუ არა ასეთი პასუხი „სინათლე გვირაბის ბოლოს“? ამას დრო გვაჩვენებს.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

КАСПІЙ

◎ ნატოს კარი ყველასთვის ღიაა

მობრძანდით, გელით, გაშლილი ხელით!..

ახლა არ არის საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ნატოში გაწევრებაზე საუბრის დრო, — განაცხადა ამ დღეებში მსოფლიოს გასაგონად ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ელმარ ბროკმა. „უმჯობესია, თქვა მან, მხარი დავუჭიროთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, ასევე საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში უსაფრთხროების სტრუქტურების რეფორმას, რათა ეს ქვეყნები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და საგარეო ბაზარზე მათი ინტეგრაცია მოხდეს. დებატები ამ ქვეყნების ნატოს წევრობაზე კონტრპროდუქტიულია“.

ელმარ ბროკის ამ განცხადებამ, რომელიც ტელეეთერითაც გადაიცა და პრესაშიც გამოქვეყნდა, ვერ გეტყვით რამდენად გაამხნევა, ან სულაც განწყობა წაუხდინა ქართულ პოლიტიკაში მომუშავე ბოსებს, მაგრამ ოთხმოცს გადაცილებულ ბესო პაპას რომ სული აუფორიაქდა, ამას პირადად შევესწარი. მართალია, ზოგს ის მიხრწნილად ეჩვენება, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ამხნის კაცი გამოუსწორებელი ოპტიმისტია. სხვამ რაც უნდა ილაპარაკოს, ბესო თავს ბედნიერად თვლის, რომ მოხუცებულობის ასაკში დამოუკიდებელ და წარმატებულად რეფორმირებულ საქართველოში მოუწია ცხოვრებამ. ამ პენსიამაც რომ იბარტყა? თავის დროზე აბა რას წარმოიდგენდა, რომ მოქკავშირის ბატონობის შემდეგ ჯერ ნაცები, მერე კი ქოცები მოექცეოდნენ ქვეყნის სათავეში და საცოდავ 14-ლარიან პენსიას 150-ლარიანად აქცევდნენ. მართალია, ამ 150-დან 170 მედიკამენტებში ეხარჯება, მაგრამ უცხოური მაღალკალორიული წამლებით ისეა დაპურებული, რომ საჭმლისკენ საერთოდ აღარც იყურება.

ერთადერთი აუხდენელი ოცნება, რაც ბერიკაცს მაჯლაჯუნასავით აწევს და ღამღამობით ძილს უფრთხობს, ნატოში საქართველოს შეუღწევლობაა. ღვიძავს თუ სძინავს, ბესო პაპა ერთთავად იმის ნატვრაშია, ღმერთმა ისე არ ინებოს მისი იმქვეყნად გასტუმრება, რომ ნატოში შესვლის წყურვილი არ დაიკმაყოფილოს. განა საიქიოში არ ესიამოვნება ამის გაგება, მაგრამ ურჩევნია იქ აქედანვე გულდამშვიდებული გაემგზავროს.

ამის მომენტი თითქოს რეალურად დაუდგა კიდეც ბერიკაცს, როცა საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ნატოს „გენსეკი“ ეწვია. მაგრამ ამანაც ისევე, როგორც მისმა წინამორბედმა, ბესო პაპას როგორღაც იმედი გაუცრუა. ამანაც ილაპარაკა, ილაპარაკა და თავის ისტორიული გამოსვლა იმით დაასრულა, რომ ნატოს კარი კვლავ მიუხურავი (ჩარაზვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) დაგვიტოვა. „მობრძანდით, ნატოს კარი საქართველოსთვის ყოველთვის ღიააო“ — ზუსტად ასე მოეყურა მოხუცს (შეიძლება არც მოეყურა და ზუსტად ასე თქვა „გენსეკმა“).

ბესო პაპა აბა შეკამათებას რას გაუბედავდა ევროპის მთავარსარდალს (მას დიდი რუსეთიც კი მოკრძალებით ელაპარაკება), მაგრამ მისი მსჯელობით გაკვირვებული და ერთგვარად დაბნეულიც დარჩა:

— კაცოო, — წაუმუჯლუგუნა გვერდულად კომპიუტერ-ტელევიზორთან მჯდომ შვილიშვილს, — გამაგებინეთ, რანაირად არის მოწყობილი ეს ნატოს კარი, რო ერთდროულად ღიაც არი და დახურულიც?

— ეტყობა, ძალიან ვიწროა პაპი, ან ძალიან დაბალი და ვერ ვეტევით, — გაიჭყანა თსუ-ის სტუდენტი შვილიშვილი.

— როგორ კაცო, თავის დროზე იმხელა გერმანია და საფრანგეთი თუ გაეტივნენ, ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრა?

— მე სახელმწიფოზე კი არა, პაპი, კაცზე გეუბნები. თავის დროზე ხო გახსოვს, მიშა როგორ შვინდა მოზვერივით მიიწევდა ნატოს კარის შესამტვრევად, მაგრამ ეტყობა, მაღალი რო იყო, თავის შერტყმისა შეეშინდა და გამობრუნდა.

— შერტყმისა? — შეეჭვდა მოხუცი, — მაგისთვის ეგ არაფერია, შვილო. მიშას ბევრჯერ და ბევრი რამისთვის შეურტყამს თავი, მაგრამ არასოდეს არც სტკენია და არც ტვინი შერყევია (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ჰგონია!).

— არა, მე უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, — დააზუსტა ბიჭმა, — რომ ნატოს კარი მოკლეა და ჩვენი „მაღალო“ სიგრძეში ვერ გაეტია.

— აბა რას ამბობ, შვილო, — გაჯიუტდა ბესო პაპა, — მიშამ სადაც მოისურვა, ყველგან შეეტენა (თვით უკრაინის ახალ მთავრობაშიც კი) და რაღა ნატოს კარში ვერ შეეტია? აქ, მე მგონი, სხვა რამეშია საქმე.

— მაინც რაში? — დაინტერესდა შვილიშვილი.

— შენ დიდი პოლიტიკისთვის ჯერ პატარა ხარ, შვილო, და ეტყობა, ყურადღება არ მიაქციე ნატოს თავკაცების განცხადებას: ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავის ტერიტორიების დაცვის მიზნით კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირებაო. გესმის, ეს რას ნიშნავს?

— მესმის, როგორ არ მესმის, პაპი. როგორც ჩანს, ნატოს ვიღაცის თავდასხმისა ეშინია. რაღა ვიღაცის, ვთქვათ პირდაპირ, აგრესორი რუსეთისა ეშინია.

— მაგრამ ნატოს რუსეთისგან თავდასხმისა კი არა, შვილო, სხვა რამისა ეშინია.

— მაინც რისა?

— იმისა, რომ რუსეთმა მისთვის ჩვეულ ვირეშმაკობას არ მიმართოს და უცბად ნატოში შესვლა არ მოიწადინოს.

— მაგას რა ჯობს, პაპი, — გამხიარულდა ბიჭი, — ნატო ერთბაშად ჩამოიშლება (რუსეთი თუ ჩამოსცილდა, სხვა ვის უნდა ებრძოლოს) და მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობა დამკვიდრდება.

— პირიქით, შვილო, პირიქით მოხდება, აი, ნახავ, დემოკრატიული, მშვიდობის ემისარი ნატო უმალ აგრესორად იქცევა, პუტინი იქ მთავარსარდლად დაჯდება და ამერიკას გაერთიანებული ევროპული თერმობირთვული იარაღით დაემუქრება.

— დავღუპულვართ და ეგ არი, — შეწუხდა შვილიშვილი, — რა უნდა ვქნათ, პაპი?

— სწორედ მაგაზე ვფიქრობ, როგორც ჩანს, ნატოში წერილის გაგზავნა მომიწევს.

— რის მიწერას აპირებ?

— რა თქმა უნდა, პუტინზე ცუდს არაფერს ვიტყვი, ჩვენი მთავრობა რუსეთთან ურთიერთობას ალაგებს და არ მინდა, ხელი შევუშალო. უბრალოდ, ნატოელებს გავაფრთხილებ, რომ წლეულს სასტიკად ცივი ზამთარია მოსალოდნელი და საშიში ვირუსი რომ არ აიკიდონ, მუდმივად მოღიავებული კარი დროებით მაინც მიხურონ. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე რუსეთი განატოელებას არ გადაიფიქრებს.

ოთარ ხუციშვილი

დედამიწის ზურგზე

ტაილანდში, რომელსაც ხუნტა მართავს, სკოლის მოსწავლეებს ესაუბრებიან დემოკრატიის შესახებ ჰიტლერის მაგალითზე

ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ დაკვეთა ფილმის გადაღებაზე, რომელიც უჩვენეს სასკოლო პროექტ „საიდუმლო სიამაყის“ ფარგლებში, შემოვიდა სამხედროებისგან, რომლებმაც წელს ქვეყანაში ხელისუფლება ჩაიგდეს ხელში. სცენა მესამე რეიხის მეთაურით აჩვენეს სერიაში „შეისწავლე დემოკრატია“.

* * *

რუსეთმა მილიტარიზაციის გლობალურ ინდექსში დახურა ქვეყნების პირველი ხუთეული

რუსეთის ფედერაციასთან ერთად ტოპ-ათეულში მოხვდა კიდევ ყოფილი სსრ კავშირის ორი რესპუბლიკა — სომხეთი და აზერბაიჯანი, რომლებსაც შესაბამისად მესამე და მეათე ადგილები უკავიათ, აგრეთვე ისრაელი, სინგაპური, სირია, კვიპროსი, სამხრეთი კორეა, იორდანია და საბერძნეთი.

* * *

ნატოში იტყობინებიან ბალტიის თავზე კიდევ ეძვსი რუსი ბომბდამშენის ხელში ჩაგდების შესახებ

პორტუგალიურმა გამანადგურებლებმა ფ-16 ხელში ჩაიგდეს ოთხი სტრატეგიული ბომბდამშენი ტუ-95 და რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ზებგერითი ბომბდამშენი ტუ-22-მ, განაცხადა ნატოს პრესმდივანმა ოანა ლუნგესკუმ. ამ ქალბატონმა აღნიშნა, რომ, მართალია, ასეთი ინციდენტები ბალტიის ზღვის თავზე ჩვეულებრივი საქმე გახდა“, თვითმფრინავების ამჟამინდელი ხელში ჩაგდება „უჩვენებს რუსეთის აქტივობის მაღალ დონეს“.

* * *

„ნასამ“ არასახიფათოდ გამოაცხადა დედამიწისთვის ასტეროიდი, რომელიც რუსმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს

ამერიკელებმა შეამოწმეს ტრაექტორია და ამტკიცებენ, რომ რუსი ასტროფიზიკოსის მიერ აღმოჩენილი ასტეროიდი სახიფათო არ არის: ყველაზე ახლო მანძილი, რომელზეც შეიძლება გაიაროს ასტეროიდმა ჩვენს პლანეტასთან, 4,3 მილიონ კილომეტრს შეადგენს. და ეს მოხდება მხოლოდ 2047 წელს.



◎ ტანჯული ცხოვრების სილამაზე

ხან ქუხილია, ხან მიწა – მშვიდი...

იმის მიუხედავად, რომ დიდგულა და დიდშუბლა კაცია, სადაც კი იმოღვაწა, საოცარი უბრალოებით და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. მთელი ცხოვრება ფუტკარივით იფუსფუსა და თაფლივით ტკბილი ლექსები დაგვიწერა. ტკბილია მის ლექსზე შექმნილი ბიძინა კვერნაძის სიმღერა „კახეთს“, კიდევ უფრო ტკბილია რუსუდან სეფისკვერაძის „იმერეთი“, „მომენატრე“, „მოწამეთა“, რომელთა ავტორიც საქართველოზე რაღაც სხვანაირად, ალბათ ცრემლებამდე შეყვარებული პოეტი და ფოკლორისტი შოთა ხოდაშნელი გახლავთ... მის ლექსებზე ასზე მეტი სიმღერაა შექმნილი.

18 წლისა იყო, ქართული მეცნიერული ფილოლოგიის ერთ-ერთი მესაძირკვლე, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ბავშვივით რომ მოეფერა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე ყმაწვილს... ცოტა ხნის შემდეგ ამ გენიალური პოემის ზეპირად მცოდნეთა კლუბი ჩამოაყალიბა, ლოტოს ფორმით გამოსცა სასწავლო-ინტელექტუალური კრებული „გონებანი გონიერსა“ და... 300-ზე მეტ ბავშვს ბოლომდე შეასწავლა ქართული პოეზიის ეს შედევრი.

შოთა ხოდაშნელი წლების განმავლობაში იყო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, მწერალთა კავშირის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „დილის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ლიტერატურული მიმომხილველი.

ჯერ კიდევ 1964 წელს ცნობილ მეცენატთან და მოღვაწე კაცთან, იყალთოს დიდ ჭირისუფალთან, აწ განსვენებულ გიორგი შათირიშვილთან ერთად დააარსა სახალხო დღესასწაული „შოთაობა“, რომლის მასშტაბი და მომხიბვლელობა, შემდეგ და შემდეგ, წინანდალში „ალექსანდრეობის“, ვარიანში „იაკობობის“, საჩხერეში „აკაკის დღეების“, ფშავში „ვაჟაობის“ დაფუძნების საძირკველი გახდა. 2012 წელს შოთა ხოდაშნელის ინიციატივით დაფუძნდა კიდევ ერთი სახალხო ზეიმი „მიხა ხელაშვილობა“, რომლის უკვდავი „ბინდისფერია სოფელი“ ლამის მთელმა საქართველომ ამოიმღერა და... მუდამ იმღერებს.



შოთა ხიდაშნელს გამოცემული აქვს 200-მდე კრებული, მათ შორის, 50-მდე საბავშვო და 12 საყმაწვილო!

ახლახან მკითხველმა მიიღო მისი კიდევ ერთი ლამაზი წიგნი, რომელიც კახეთის და ერეკლე მეორის სატახტო ქალაქს და ძირძველ თელაველებს – ზაირა არსენიშვილს, იდა კონსტანტინიდს, ლია შავლიაშვილს, ლამარა კორძაძეს, ვალერიან მამუკელაშვილს, ოთარ ხუციშვილს,ფარნაოზ რაინაულს, გივი მუნჯიშვილს, ვიქტორ კოლელიშვილს, ავთანდილ ადეიშვილს, შალვა დავითაშვილს და ფანცქალა სიდამონიძეს ეძღვნება. ეძღვნება თვით ულამაზეს და ისტორიულ თელავს – **„მეფის სასახლიანს და მეფის წყაროებიანს, ლამაზ ქედებიანს და ციხის ქონგურებიანს, ცივ გომბორის თბილ კალთას სულ რომ მიფიცხებია, თელავს, რომლის ქართულსაც ასაფრენი ფრთები აქვს...**

...შოთა ხიდაშნელმა ბოლო ხანს თვალისჩინი დაკარგა, მაგრამ რწმენით, სიკეთით და შინაგანი ენერგიით იმდენად არის სავსე, თეთრ ქაღალდზე იისფერი ან შავი კალმის მოსმა მაინც შეუძლია. ის ბოლომდე დარჩა ქართულ სიტყვასთან, ქართულ ლექსთან, საქართველოს ავისმსურველებთან მებრძოლ გლადიატორად... **„ჩემი ტანჯული ცხოვრების თვეში, თუ ლამაზი დღე გამოერია, და სიხარულის თუ მაწვიმს თქეში, შენა გგონია – შენმიერია!.. საასპარეზოდ მალე დავდგებით, ჩვენ მხოლოდ ორნი – ორნი მარტონი!, ო, სიცოცხლეო, შენ გესალმები – ლექსთან მებრძოლი გლადიატორი. ბედო, ათასჯერ დამარტყა მეხმა, ვერ შემაშინებს ნაიარევი. მე არ გავტყდები, ვიდრემდი ქვეყნად, ერთი მშვენება დაიარება!... ვარ ქუხილის წინ დუმილი დიდი, ხან ქუხილი ვარ, ხან მიწა მშვიდი!..“**

ეს სტრიქონები შოთა ხოდაშნელის ბოლო წიგნიდანაა. მრავალჭირგადანახადი პოეტის დღევანდელი განწყობა დღესავით ნათელია, ის კვლავ და კვლავ სიცოცხლეს ესალმება, ქუხილის წინ დუმილს არღვევს და გლადიატორივით სიმართლის დასამკვიდრებლად ბრძოლას განაგრძობს.

ასე სცოდნია თვალისჩინის მაგივრად გულის სამზერიდან ამოხეთქილ მიწიერ გრძნობებს... მწერალთა კავშირის პრემიის, მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიის მფლობელს, ღირსების ორდენის კავალერს ეს ბრძოლა ბოლომდე ხელეწიფება.

„ებრძვი მიმინოს ჩიტი ნიბლია, და გიხარია –
ისევ მთელი ვარ!
წუხილის მეტი რა შეგიძლია, ამბობ –
ამისიც მადლობელი ვარ!
გულსაც გაგლეჯდნენ, სულსაც გაცლიდნენ,
თან გიღიმოდნენ
– განა მტერი ვარ ?
ამდენმა ნჯღრევამ გამოგაფხიზლა,
– გამოფხიზლების მადლობელი ვარ!

ეს ორი სტროფი საქართველოსაც ეძღვნება და მისი ავტორის ბედსაც.

შოთა ხოდაშნელს ტანჯულ საქართველოზე უკეთ არასოდეს უცხოვრია...

სპარტაკ ქოგულია

◎ პრობლემა

როგორია დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკა?

რატომლაც, სამწუხარო რეალობად იქცა წინასაახალწლო დღეებში დევნილების, სოციალურად დაუცველების თუ ეკომიგრანტების გამოსახლებები კომპაქტური ჩასახლებებიდან თითქოს მთელი წელიწადი ამის მოგვარება არ შეიძლებოდეს. გაუგებარია, რატომ არის აუცილებელი მაინცდამაინც დეკემბრის სუსხიან დღეებში ადამიანების გამოსახლება, სხვაგან ჩასახლება და ა. შ.?!

ამ დღეებიც გრძელდება ისანში, სამხედრო ჰოსპიტალში ჩასახლებული დევნილების კორპუსიდან გაყვანის პროცესი. ზოგი ასეთი გამოსახლების წინააღმდეგია, ზოგიც – ბედს ემორჩილება... ზოგიც – კმაყოფილია. რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი **მურად აბლოთია** აცხადებს, რომ პროცესი კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს. დევნილებთან წინასწარ იყო შეთახმება გაფორმებული, ხელშეკრულების თანახმად, ისინი ქირის თანხას – 300 ლარს ყოველთვიურად მიიღებენ, ხოლო კორპუსის რეაბილიტაციის შემდეგ კვლავ ძველ საცხოვრებელს დაუბრუნდებიან. რაც შეეხება უკმაყოფილო ადამიანებს, მურად აბლოთიას განცხადებით, ისინი აქ რეალურად არ ცხოვრობენ, უბრალოდ ფართი ჰქონდათ მოკავებული, ამდენად, მათი პროტესტი მიუღებელია.

და მაინც, საინტერესოა, როგორია ზოგადად დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკა?

2014 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 256 ათას 843 იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო დევნილი ოჯახების რიცხვი 84 ათას 833-ს შეადგენს (რეგისტრაციის დაწყებამდე აღრიცხული იყო მეტი – 87 ათას 224 ოჯახი). მათგან მხოლოდ 23 ათას 420 ოჯახია დაკმაყოფილებული გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით, ხოლო 5 ათას 108 ოჯახს საცხოვრებლის შესაძენად მიღებული აქვს ფულადი კომპენსაცია.

დაახლოებით 56 ათასი დევნილი ოჯახი კვლავ უსახლკაროდაა. თუმცა, არის მეორე კითხვა, აქედან ყველას სჭირდება თუ არა სახლის შეძენა, ან რა უნდა შესთავაზოს მათ სახელმწიფომ ალტერნატივად? დევნილთა მონაცემების რეგისტრაციის დროს მათ შეავსეს ასევე ანკეტა, ხოლო სამინისტრომ ამის ანალიზი გააკეთა და გაირკვა, რომ 73 ათას 754 დევნილი ცხოვრობს ნათესავის, მეგობრის ან ახლობლის ბინაში, 20 ათასზე მეტი ქირით, ხოლო თითქმის 4 ათასი – დევნილთა ჩასახლებაში. 34 ათასი ოჯახი კი ბინით უზრუნველყოფილია...

როგორც გახსოვთ, 2007 წლამდე სახელმწიფოს სტრატეგია დევნილებთან მიმართებაში იყო ერთადერთი – მათი დაბრუნება. ცოტა არ იყოს ეს „ჰიპოტეთური“ მიდგომა, როგორც იქნა, შეიცვალა და დღეს უკვე არსებობს სტრატეგია, რომლის მიხედვით, ყველა დევნილს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებლით. ეს ყველაფერი, მართალია, ქვეყნის რესურსებზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს სულაც არ ათავისუფლებს მთავრობას ვალდებულებებისგან.

საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით სახელმწიფო იყენებს ორ ფორმას – საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას და ფულადი კომპენსაციის გადახდას საცხოვრებლის შესაძენად.

მურად აბლოთია ამბობს, რომ მომავალ წელს ამ მიმართულებით ცვლილებები იქნება. უკვე გაწერილია 2015-16 წლების სამოქმედო გეგმა, თუმცა, სტრატეგია იგივე დარჩება. **„2014 წლის ნოემბრიდან დავიწყეთ და 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობს 10 ათასამდე დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. 815 ობიექტის შესახებ უკვე გამოვითხოვეთ ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროდან, ასევე ვსწავლობთ კერძო საკუთრებაში არსებულ ობიექტებს, მაგალითად, ნუცუბიძის პლატოს 34-ე კორპუსს, ვუკავშირდებით ბინათმშენებლობის ამხანაგობებს, ქონების მართვის სააგენტოსთან შეთახმებით ვაზუსტებთ მონაცემებს, თუ სად, რა და როგორ მდგომარეობაში არსებული ფართები შეიძლება შევთავაზოთ დევნილ ოჯახებს. ახალი მიდგომით შეიცვალა ფართის სტანდარტი და უფრო გაფართოვდა. საინტერესოა, რომ ახალი ხელშეკრულებით ბინის თანამესაკუთრე ხდება ოჯახის ყველა წევრი“...**

ყველაზე მეტი შიში, რაც დევნილებს აქვთ, ქირის გადახდის შეწყვეტას უკავშირდება, თუმცა, სამინისტროში ამბობენ, რომ ეს არ მოხდება. ოჯახი საცხოვრებლის მიღებამდე ქირით დაკმაყოფილდება. ე. წ. პრივატიზაციის პროცესის ხანგრძლივობაც შემცირდება და ის ორი თვის ფარგლებში გადაწყდება. საინტერესოა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით უზრუნველყოფის საკითხი. რეგისტრაციის დროს 8 ათასზე მეტმა დევნილმა განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა. ძალიან ბევრი, განსაკუთრებით რეგიონებში ჩასახლებულები, სახელმწიფოსგან მიწის ფართს ითხოვს, რაზეც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აქტიურად მუშაობენ. პროცესს აფერხებს თვითნებურად მისაკუთრებული მიწის ნაკვეთები, რადგან „მეპატრონეებთან“ დავა სასამართლოს გავლით უწევთ, რაც პროცესს, ბუნებრივია, ახანგრძლივებს.

მაგალითად, ზუგდიდში, ინგირის დასახლებაში კერძო პირმა შემოღობა ტერიტორია, სადაც დევნილებს მიწის დამუშავების ნებას არ რთავს. რამდენიმე წელია, პროცესი სასამართლოში მიმდინარეობს. დღემდე დავობენ, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის პოლიტიკას უამრავი მტკივნეული ნიუანსი ახლავს, სადაც ხანაც სახელმწიფო სცოდავს, ხან სულაც დევნილი, მაგრამ, მთავარია, რომ მიზანი არსებობს. პრობლემები და ხარვეზები არის, რომელზე ზრუნვაც უპირველესად მთავრობის პრეროგატივაა. თუკი არასამთავრობოთა რეკომენდაციას გადავხედავთ, ისინი მთავრობას შემდეგ შენიშვნებს უგზავნიან:

- **მოხდეს დევნილების დროული ინფორმირება პრივატიზაციის პროცესის და მისი შედეგის შესახებ.**
- **გაძლიერდეს პრივატიზაციის პროცესში ჩართული უწყებების კოორდინირებული მუშაობა.**
- **შეიქმნას კომისია, რომელიც გამოავლენს ხარვეზებს, შეიმუშავებს წინადადებებს და მექანიზმებს, რათა მომავალში ეს პრობლემები აღმოიფხვრას.**

დაახლოებით ერთ კვირაში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში საზოგადოებას ანგარიშს წარუდგენენ, სადაც უფრო დეტალურად განიხილავენ ყველა ასპექტს. და ასევე ვრცლად ისაუბრებენ, თუ რას აპირებენ 2015 წელს და როგორი იქნება ახალი სახელმწიფო პოლიტიკა?

თეა მოსია

◎ სამგო

კადეტებმა მსოფლიოც დააჭაშნიკეს

კვიპროსის საკურორტო ქალაქ ლიმასოლში დამთავრდა კადეტ სამბისტთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც 19 ქვეყნის 190-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საგულისხმოა, რომ 15-16 წლის სამბისტებისთვის ეს მსგავსი სახის სადებიუტო შეჯიბრება იყო. ქართველებმა ტურნირში 8 მედალი მოიპოვეს და გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. ტრადიციულად, ყველას რუსებმა აჯობეს. მესამე ადგილი უკრაინელებს ხვდათ.



რაც შეეხება პირად პირველობას, ქართველთაგან საუკეთესო იყო საბა გრიგალაშვილი (50 კგ), რომელმაც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო ვალერი რომანიუკთან (რუსეთი) და მეორე ადგილს დასჯერდა. დათუნა ფილფანი (46 კგ), თენგიზ ჩიტაური (60 კგ), გოგა ქევხიშვილი (72კგ), იმედა გოგოლაძე (78 კგ), ომარ საური (84 კგ) და ნიკა სიდამონიძე (+84 კგ) ნახევარფინალში დამარცხდნენ და ბრინჯაოს მედლები ერგოთ. ლიმასოლში ოქროს მედალი დაიმსახურა ვასილ ბალაბანაშვილმა, რომელიც თბილისში კი ცხოვრობს და ვარჯიშობს, მაგრამ საბერძნეთის მოქალაქე და სალონიკის სასპორტო კლუბ „ფილიპოს ამადეოს“ წევრია. მსოფლიოს პირველობაში ერთადერთი ქართველი გოგონაც მონაწილეობდა — ნინო მგელაძე (52 კგ), რომელიც, ასევე, მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

გივი გაგუა

◎ რაგბი

საფეხბურთო ანგარიში და დებიუტანტის პირველი გამარჯვება

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „ლელო“ შინ „ბათუმთან“ სპორტის ამ სახეობისთვის უჩვეულო ანგარიშით - 0:3 დამარცხდა. მსოფლიო რაგბის ისტორიაში ასეთი შედეგი, ალბათ, მაშინ აღინუსხა, როცა ლელო ჯერ კიდევ ერთი ქულით ფასდებოდა. მთელი პაექრობის განმავლობაში ერთადერთი საჯარიმო ბათუმელმა ბახვა კობახიძემ გაიტანა, თუმცა მასვე ხუთი საჯარიმო და ორი არეკნი გასტუმრებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა. მეტიც, მე-12 წუთზე ქუთაისელმა გაგა სინაურიძემ ლელო მიითვალა და თავისი გუნდი დააწინაურა — 8:3. ტაიმის ბოლომდე მჭედლიშვილმა კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა — 9:8.

შესვენების შემდეგ „აია“ გააქტიურდა — შეხვედრის მეორე ნახევარი თითქმის სულ მეტოქის მოედანზე გაატარა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, „თიბიესის“ კაპიტანმა კი კიდევ ორჯერ დალაშქრა სტუმრების კარი, რითაც საკუთარ გუნდს, როგორც აღვნიშნეთ, ეროვნულ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოუტანა - 15:8.

უცუდდა. სიზუსტით არც ლელოელები გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ირაკლი ყიასაშვილმა კარის პირდაპირ 22 მეტრიდან ააცილა ბურთი მიზანს. ყველაზე დასამახსოვრებელი ამ მატჩში ლაზათიანი მუშტიკრივი იყო, რის გამოც სამხრეთაფრიკელმა არბიტრმა „ლელოს“ შუამარბი თორნიკე ცერცვაძე და „ბათუმის“ მესამეხაზელი ლევან თხელიძე წითელი ბარათით გააძევა.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა და აუტსაიდერმა თბილისის „თიბიესმა“ პირველი გამარჯვება იზეიმა. იგი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ ქუთაისის „აიას“ დაუპირისპირდა. რიონისპირელები, ცხადია, წარმატების წყურვილით გავიდნენ მოედანზე, მაგრამ მასპინძლებმა მათს ოცნებას ცივი შხაპი გადაავლეს. ანგარიში მე-ნ წუთზე „თიბიესის“ კაპიტანმა უჩა მჭედლიშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ყოჩები“	11	10	1	0	+123	44
„ლელო“	11	6	2	3	+58	30
„ბათუმი“	11	6	1	4	+30	30
„ხარები“	10	5	2	3	+30	26
„აია“	11	5	0	6	-3	24
„ჯიქი“	9	4	1	4	-9	20
„არმია“	10	4	0	6	-48	19
„ლოკომ“.	9	3	1	5	-14	18
„არმაზი“	8	3	0	5	-19	14
„თიბიესი“	11	1	0	10	-148	7

ლაშა დიდია

◎ რეცეპტი

არის ასეთი ვარიანტიც

როგორც მოგეხსენებათ, თემურ ქეცბაიას საგმირო საქმეების შემდეგ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები უთავკაცოდ დარჩა, არადა ევრო — 2016-ის შესარჩევი რაუნდის განახლებამდე მხოლოდ სამთვენახევარია დარჩენილი.

შექმნილ ფორსმაჟორულ ვითარებაში ინტენსიურად გრძელდება „ჯვაროსანთა“ ახალი მთავარი მწვრთნელის კანდიდატურის ძიება და კახი ცხადაძის სახით უკვე ფავორიტიც გამოიკვეთა, თუმცა, არც მის უცხოელ კოლეგათა შესაძლო მოწვევის გამორიცხვა შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როცა მომხრეები ამ ვარიანტსაც ჰყავს.

მოგეხსენებათ, რომ ახლო წარსულში ჩვენი გუნდის მესაჭე ავტორიტეტული არგენტინელი სპეციალისტი ექტორ რაულ კუპერი იყო. და აი, ამჯერად მის თანამემამულეებს საქართველოში არგენტინის სახლის თავმჯდომარე ნიკოლოზ პატარქალიშვილი წარმოგვიდგენს, რომელმაც მიმდინარე წლის 21 ნოემბერს, როგორც უფლებამოსილმა პირმა, სათანადო წერილით უკვე მიმართა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს, დოქტორ კრისტინა ფერნანდეს დე კირხნერს, გიორგი მარგველაშვილს, დავით უსუფაშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს.

ვიმედოვნებთ, სეზონის ბოლომდე ქართული ფეხბურთის მამები ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მიაგნებენ.

გიორგი შოთაძე



საქართველოსა და არგენტინას შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ამჟამად საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია. აღნიშნულ პოსტზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელთა ძიებაშია, რომლებიც შეძლებენ წარმატებით უხელმძღვანელონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და, ამასთან ერთად, საქართველოში ბავშვთა და ახალგაზრდული ასაკის გუნდებში საფეხბურთო დონის ამაღლების მიზნით წარმოადგენენ ფეხბურთის განვითარების პროგრამებს.

აგრეთვე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში ფეხბურთის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით 2014 წლის 13 თებერვალს შეიქმნა ფეხბურთის განვითარების სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „არგენტინის სახლმა საქართველოში“ (რომელიც უფლებამოსილია არგენტინელ მწვრთნელთა პერსონალის მიერ) გადაწყვეტა აცნობოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს არგენტინის კლუბებსა და ეროვნულ ნაკრებ გუნდში კვალიფიციური მწვრთნელების მზადყოფნა, რომლებიც თანახმანი არიან სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და წარმოადგინონ ფეხბურთის განვითარების პროგრამები.

მწვრთნელთა კორპუსი შედგება შემდეგი პროფესიონალებისაგან:

ანხელ კაპა;ვისენტე კაიეტანო როდრიგესი; ფერნანდო სიგნორინი;ანხელ ფელიქსი; დიეგო კრუსიანი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული კვალიფიციური მწვრთნელები მოწვეულ და არჩეულ იქნებიან საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის.

◎ ფეხბურთი

ვაკუუმი შეივსო

ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის რაუნდმა კიდევ სამი მერვედფინალისტი გამოავლინა. ესენია „იუვენტუსი“, „ბაზელი“ და „მონაკო“.

ალბათ, ჯგუფური ტურნირის სტარტზე ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ გათამაშებას ადრეულ სტადიაზევე გამოეთიშებოდნენ „ლივერპული“ და „ბენფიკა“, თუმცა საბოლოოდ სწორედ ასე მოხდა. სამაგიეროდ, შვეიცარიული კლუბის სახით ხმაურიანი სენსაციაც გამოცხვა.

„ა“ ჯგუფი. „იუვენტუსი — „ატლეტიკო“ 0:0, „ოლიმპიაკოსი“ — „მალმიო“ 4:2.

როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიურმა და ესპანურმა გრანდებმა ის ზავი გააფორმეს, რომელმაც თამაშგარე მდგომარეობაში ელადელები დატოვა.

„ატლეტიკო“ — 13, „იუვენტუსი“ — 10, „ოლიმპიაკოსი“ — 9, „მალმიო“ — 3 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „რეალი“ — „ლუდოგორეცი“ 4:0, „ლივერპული“ — „ბაზელი“ 1:1.

თურმე „მერსისაიდელთა“ მთელი შარშანდელი წარმატებების სული და გული სუარესი ყოფილა. ურუგვაელის „ბარსელონაში“ გადასვლის შემდეგ ბრენდან როჯერსის გუნდი საბავშვო ბაღს დაემსგავსა, რომლის ლიდერი ჯერარდიც, ბუნებრივია, პარტნიორთა სათანადო თანადგომის გარეშე უძლურია მათი უნიათობა გადაფაროს.

„რეალი“ — 18, „ბაზელი“ — 7, „ლივერპული“ — 5, „ლუდოგორეცი“ — 4 ქულა.

„გ“ ჯგუფი. „მონაკო“ — „ზენიტი“ 2:0, „ბენფიკა“ — „ლევერკუზენი“ 0:0.

„მონაკო“ — 11, „ლევერკუზენი“ — 10, „ზენიტი“ — 7, „ბენფიკა“ — 5 ქულა.

„დ“ ჯგუფი. „ბორუსია“ — „ანდერლეხტი“ 1:1, „გალათასარაი“ — „არსენალი“ 1:4.

„ბორუსია“, „არსენალი“ — 13-13, „ანდერლეხტი“ — 6, „გალათასარაი“ — 1 ქულა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

შეიკის ამერიკულმა ტურნემ რონალდუ დაადარდიანა



„სიძვარული იმფერი რამეა ჩემო ძამიებო, დღეს რომ გეიღვიძებ და ვინც ნამეტანი გიყვარს და გეიმასქნება — იმას თუ არ დეინახავ, შეიძლება თლად გადირიო, გაბრაზდე და იმფერი რაცხები ჩეიდინო, მერე შენი თავისაც კი გაგიკვირდეს — აგი რავა გავაკეთე, გიჟი ხომ არ ვარო“, — კრიშტიანუ რონალდუ იმერელი რომ ყოფილიყო, ალბათ ასე აღწერდა თავის დღევანდელ მდგომარეობას.

საქმე ისაა, რომ მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელის გულისსწორი, მოდელი ირინა შეიკი მთელი თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალურ სამოდელო ტურნეში წასულა და უშეიკობით გატანჯულ ფეხბურთელს თურმე ცა და ქვეყანა აუწრიალებია — იქნებ ირინა ცოტა ხნით მაინც ჩამოვიდეს ესპანეთშიო.

ირინა შეიკმა სატრფოს სურვილი მაინც ვერ აუსრულა და დათქმულ დროზე ადრე ვერ დაბრუნდა მადრიდში, რამაც პორტუგალიელი მობურთალის გულისწყრომა გამოიწვია და ეს არც ჟურნალისტებთან საუბარში დაუმალავს. რონალდუმ ისიც განაცხადა, რომ ამიერიდან გულისსწორს ასე დიდი ხნით აღარსად გაუშვებს.

როსტომ რაჭველიშვილი

ეპიტაფია

მურად (მამია) ალაშვილის არდავიწყება

სიცოცხლით სავსე, კეთილშობილებით გამორჩეული, მუდამ მოუსვენარი, დაუზარელი, კარგი მწერალი, კარგი ჟურნალისტი, კარგი ფოტოგრაფი და კომპიუტერის ჯადოქარი...

ორიოდე დღის წინათ სარედაქციო დავალება მიიღო. გუშინ მეუღლემ შეგვატყობინა, რომ მურადი მოულოდნელად გარდაიცვალაო!

რაღაც ვირუსი შემეყარა, გრიპი მაქვს, ვერ ვარ ხასიათზეო, – უთქვამს ოჯახში და...

მართლაც, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სიკვდილი. იშვიათად შეხვდებოდით ასეთ ენერგიულ, უღალატო, ჭეშმარიტად გულმართალ კაცს. მის ლამაზ სხეულში სულიც ლამაზი სუფევდა...

ნამდვილი პროფესიონალი, ოპერატიული, არჩეული გზის დამფასებელი და ახალგაზრდა კოლეგების გზის გამკაფავი იყო.

მურად ალაშვილი წყალტუბოში დაიბადა (1945 წ.) და ქართული ტრადიციებით აღიზარდა. დაამთავრა ურალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა რედაქციებში. იყო გაზეთ „კუტაისსკაია პრავდას“ პასუხისმგებელი მდივანი, „სვობოდნაია გრუზიას“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტი, სააგენტო „რია ნოვოსტის“ მიმომხილველი. შესანიშნავად წერდა რუსულად და ქართულად, მონაწილეობდა სატელევიზიო გადაცემებში...

იყო ღრმად მორწმუნე და ბიბლიის სიბრძნეს დაუფლებული მართლმადიდებელი.

გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ მურად ალაშვილი ხვალ არ შემოაღებს რედაქციის კარს, ომახიანად არ მოგვესალმება, იმერული იუმორით არ გაგვახალისებს და სამახსოვრო სურათს არ გადაგვიღებს...

ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს, ჩვენო ერთგულო ძმაო და მეგობარო.

შენ ჩვენთან ერთად განაგრძობ სიცოცხლეს!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

სანთელი

ასია კლდიაშვილი



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრის კადრების განყოფილების უფროსი **ასია კლდიაშვილი**.

ასია კლდიაშვილი დაიბადა 1936 წლის 16 ივნისს. 1961 წელს დაამთავრა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტი. 1966 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში კანცელარიის გამგედ. 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ოპერის თეატრის კადრების განყოფილების უფროსი გახლდათ.

მიღებული აქვს რამდენიმე ჯილდო და პრემია, რომელთა შორის აღსანიშნავია საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება(1985წ), შრომის ვეტერანის მედალი (1986წ) და ღირსების მედალი (2000წ).

ქალბატონი ასია საოცრად კეთილშობილი პიროვნება იყო, რომელიც არ იშურებდა სითბოსა და სიყვარულს. მისმა უეცარმა სიკვდილმა ოპერის თეატრის თითოეულ წევრს ღრმად დაწყვიტა გული, მათ დედობრივი მზრუნველობა მოაკლდებათ. ასია კლდიაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 11 და 12 დეკემბერს, გასვენება 13 დეკემბერს 14 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №21/14.

კვალი ნათელი

უანგაროობა და სიკეთე ამშვენებდა

საქართველოს ონკოლოგთა და საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ გვასალია**.

გამორჩეული ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საოცარი პატრიოტი და თავდადებული ქირურგი, თავისი საქმის უბადლო ოსტატი, მუდამ გაჭირვებულის გვერდში მდგომი, ყველას დამრიგებელი, ონკოლოგთა და რადიოლოგთა დიდი ოჯახის მეგობარი.

დაიბადა 1946 წელს ქ. ქუთაისში. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1969-1972 წ.წ. იყო თსსი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასპირანტი.

1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი ბიოქიმიური ცვლილება და შინაგანი ორგანოების ფუნქციის მოშლა ნაწლავის გარეთა ფისტულების დროს და მათი მკურნალობა“.

1992 წელს დაიცვა სადოქტორი დისერტაცია თემაზე: „პერიტონული სეფსისი“ (დიაგნოზისა და მკურნალობის შედეგების სტრუქტურული ციტოქიმიური დასაბუთება).

1973 წლიდან მუშაობდა თსსი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად, ასისტენტად, დოცენტად, 1994 წლიდან კი იყო კათედრის პროფესორი. ამასთან ერთად, 1983-1989 წ.წ. იყო თსსი ინტერნატურისა და საწარმოო პრაქტიკის დეკანის მოადგილე, 1994-1996 წ.წ. – საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსი, 1996-1999 წ.წ. – ჯანდაცვის სამინისტროს ცენტრალური კლინიკის ხელმძღვანელი.

საქართველოს ქირურგთა ასოციაციის გამგეობისა და ქირურგთა საერთაშორისო კოლეჯის წევრი, რუსეთის ნ.ი.პიროგოვის სახელობის ქირურგთა ასოციაციის ნამდვილი წევრი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის ქირურგიული ინფექციის სექციის კურატორი.

გახლდათ გორის სამხედრო ჰოსპიტლის პირველი დირექტორი, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. მისი დიდი ღვაწლი ქვეყნის წინაშე აღინიშნა არაერთი ჯილდოთი, მიღებული ჰქონდა ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენები.

ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, დიდი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, თავდადებით. მისმა უდროო სიკვდილმა გული დაწყვიტა არა მარტო ახლობლებს და მეგობრებს, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას.

გამოქვეყნებული აქვს 130 სამეცნიერო ნაშრომი მუცლის ღრუს ქირურგიის, ურგენტული ქირურგიის, სხეულის ტრავმის, სამხედრო საველე ქირურგიის, ქირურგიული ინფექციის, ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების მცირე ინვაზიური ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე. არის მონოგრაფიის („ჩირქოვანი ქირურგიის აქტუალური საკითხები“, 1985 წ.), სახელმძღვანელოს („სადიაგნოზო და სამკურნალო მანიპულაციები ქირურგიაში“, 1991 წ.) და სამხედრო საველე ქირურგიაში პირველი ქართული მეთოდური მითითებების („რბილი ქსოვილების ცეცხლნასროლი დაზიანებები“, 1992 წ.) ავტორი.

მომავლის იმედი არ დაუკარგავს, ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია, წინ იცქირებოდა და ნათელ მომავალს შენატროდა. მისი ცხოვრება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისათვის. სამაგალითოა მისი შრომისმოყვარეობა, უანგარობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება, რაც ასე ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.

მისი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასოდეს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასდროს მოკვდება.

20850 პირს ავტობუსში უბილეთოდ მგზავრობა აპატიეს

მთავრობის სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი განიხილეს, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ამნისტიას ითვალისწინებს.

ამნისტიის კანონის პროექტის მიხედვით, დაკისრებული ჯარიმებისა და საურავებისაგან სრულად თავისუფლდებიან ის პირები, რომლებმაც უბილეთოდ იმგზავრეს მუნიციპალური ტრანსპორტით და ეს სამართალდარღვევა 2014 წლის 10 დეკემბრამდე ჩაიდინეს.

საერთო ჯამში, სახელმწიფო სამართალდამრღვევებს მილიონ ორასი ათასამდე ლარის გადახდის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.

ინფორმაცია

კომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ საპროტესტო გაფიცვას იწყებს

როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, საპროტესტო აქციები იმ დრომდე გაგრძელდება, სანამ საქართველოს მთავრობა ავიაკომპანიის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.

საპროტესტო გაფიცვაში მონაწილეობას კომპანიის მფრინავები, ტექნიკოსები და სხვა თანამშრომლები მიიღებენ.

რაც შეეხება ავიაკომპანიის მოთხოვნებს, ესენია – გაუქმდეს რუსეთის ფედერაციაში გაგზავნილი 8 ივლისის ნოტა, რომლითაც რუსეთის ავიაკომპანიებს მიენიჭათ შეუზღუდავი უფლება თბილისი-მოსკოვი-თბილისი მიმართულებით ფრენებზე; დაუყოვნებლივ გაუქმდეს საქართველოს საავიაციო ხელისუფლების მიერ რუსულ ავიაკომპანიებზე გაცემული ფრენის ნებართვები; რუსეთის ფედერაციასთან საჰაერო მიმოსვლა აღდგეს იმ პირობით, რაც იყო ფრენების შეწყვეტამდე, ანუ 2006 წლის ნოემბრამდე.

ამასთან, რუსეთთან მოლაპარაკებები შეწყდეს იმ დრომდე, სანამ სააგენტო არ გამოიყოფა ცალკე სტრუქტურად და არ დაკომპლექტდება იმ კვალიფიციური მუშაკებით, ვისაც კვალიფიციურად შეეძლება მოლაპარაკებების გამართვა და ქვეყნის ინტერესების დაცვა.

დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილება ავიაციის სააგენტოს ეკონომიკის სამინისტროსგან გამოყოფის შესახებ და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ უწყებად, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

დაუყოვნებლივ გადადგეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფროსი გურამ ჯალაღონია, დაინიშნოს კვალიფიციური კადრი და სააგენტო დაკომპლექტდეს პროფესიონალი მუშაკებით.

სააგენტოს ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალოს ის ნორმატიული აქტები, რაც მიღებულ იქნა წინა ხელისუფლების მიერ და ქართული ავიაკომპანიის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

და ბოლოს, სასწრაფოდ აღუდგეს „ჯორჯიან ეარვეისს“ ფლაგმანის სტატუსი, რომელიც წინა ხელისუფლებამ უსაფუძვლოდ გააუქმა.

ქურდობის ბრალდებით აეროპორტის თანამშრომელი დააკავეს

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილ პირად ნივთებსა და ელექტროტექნიკას სისტემატურად იპარავდა.

„შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული ანტონი ს. ქურდობის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბარგის მტვირთავად 2011 წლიდან მუშაობდა. ანტონი ს. კონტეინერში მგზავრთა ბარგის ჩატვირთვისას, ფარულად დაეუფლა დანიის მოქალაქის ბარგში არსებულ 300 ევროს ღირებულების „სამსუნგის“ ფირმის ციფრულ ფოტოაპარატს, რითიც მოქალაქეს მნიშნელოვანი ზიანი მიადგა.

ასევე დადგინდა, რომ ანტონი ს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, სისტემატურად იპარავდა საქართველოდან სხვადასხვა ქვეყანაში მიმავალ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კუთვნილ პირად ნივთებსა და ელექტროტექნიკას.

სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ანტონი ს. ჩადენილ დანაშაულებს აღიარებს.

◎ ჩვენი კარაბადინი

ეს ჰემოროიდა!

მას გონებით უნდა უმკურნალო

ჰემოროი — დელიკატური პრობლემაა, ამიტომ ისინი, ვინც მას გადაეყრება, არ ჩქარობენ მიაკითხონ ექიმს. მით უმეტეს, რომ დღეს ამ დაავადების ბევრი საშუალებაა, რომლებიც ურეცეპტოდ შეიძლება შევიძინოთ.

ვაი რომ, აქედან არაფერი ხეირიანი არ გამოდის. დაავადების მიმდინარეობა მძიმდება, სიმპტომები იზრდება, ზოგჯერ კი სიტუაცია სულაც სახიფათო ხდება სიცოცხლისთვის. როგორ ავიცილოთ ეს თავიდან? სანამ წახვიდოდეთ აფთიაქში ჰემოროის წამლისთვის, უპასუხეთ საკუთარ თავს სამ მარტივ შეკითხვაზე.

იცით ჰემოროის როგორ ნაირსახეობასთან გაქვთ საქმე?

ეს შეკითხვა ჩიხში აყენებს ბევრ ადამიანს, რომლებსაც არა აქვთ სამედიცინო განათლება: რაღა ნაირსახეობაა — ჰემოროი არის ჰემოროი. აი, ექიმებმა კი იციან: ყოველ ადამიანს აქვს ჰემოროიდული კვანძის (მას წნულსაც უწოდებენ) ორი ჯგუფი — გარეგანი და შინაგანი, და მკურნალობა იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რომელი მათგანია დაზიანებული.

გარეგანი ჰემოროის დროს კვანძები, რომლებიც ანალური ნახვრეტის გვერდით კანქვეშაა, წარმოიქმნება შედედებული სისხლი — თრომბები. ამის გამო ჰემოროიდული წნულები იბერება და ძალიან გვტკივა.

შინაგანი ჰემოროი აზიანებს კვანძებს, რომლებიც უფრო ღრმადაა, ანალურ არხში. ისინი ეწებებიან ნაწლავის კედლებს განსაკუთრებით თხელი იოგებით. თუ ასეთი კვანძებიდან სისხლის გადინება ირღვევა, ისინი ხდებიან მძიმე და „თავს ყოფენ“ არხის ღიობში, ვინაიდან კვანძები ვერ უძლებენ მათ წონას. ნაწლავების გამოთავისუფლების დროს კვანძები შეიძლება გარეთ გამოვიდეს. თანაც ასეთი ჰემოროიდული გადახლართვის კედლები მეტად მყისიერია, ამიტომ ისინი ადვილად ზიანდება და შეიძლება ძლიერი სისხლდენა გამოიწვიოს. აი, ტკივილები კი ჩვეულებრივად არ შეინიშნება.

გარეგანი ჰემოროის მკურნალობის დროს იყენებენ პრეპარატებს, რომლებიც იწოვენ თრომბს, ესე იგი ათხელებენ სისხლს. რა იქნება, თუ მათ შინაგანი ჰემოროის დროს გამოვიყენებთ? სისხლდენა გაძლიერდება. გარეგანი ჰემოროის დროს თუ გამოვიყენებთ შინაგანის წამლებს, თრომბოზი გამწვავდება.

თეორიულად საშუალებების შერჩევაში შეიძლებოდა დაგვხმარებოდა ფარმაცევტი, რომელიც წამალს ყიდის. მაგრამ ამისთვის დაავადებულმა ადამიანმა უნდა აღუწეროს მას თავისი სიმპტომები. მაგრამ თუ მას რცხვენია მივიდეს ექიმთან, ნუთუ ის მოუყვება მას ასეთ დელიკატურ პრობლემაზე „მთელი აფთიაქის გასაგონად“? სხვათა შორის, თუ ვინმე ამას გაბედავს, სწორად შეარჩიოს წამლის დოზირება დაუსწრებლად, მაინც მეტად რთულია.

დარწმუნებული ხართ, რომ გჭირდებათ წამალი და

არა ოპერაცია?

არის ბევრი მაგალითი, როდესაც ადამიანები, რომლებიც ცდილობენ მოარჩინონ ჰემოროი თავად, თვეების და შეიძლება წლების განმავლობაშიც განიცდიან ტკივილსა და დისკომფორტს და ვერ ღებულობენ ვერანაირ შედეგს. შემდეგ მიდიან ექიმთან და ის გადაწყვეტს მათ პრობლემას ერთ დღეში, ვინაიდან არჩევენ მკურნალობის ოპტიმალურ მეთოდს.

მაგალითად, გარეგანი ჰემოროის დროს ალტერნატიულ წამლად შეიძლება იქცეს პატარა ოპერაცია, რომლის დროსაც ექიმი ასრულებს პატარა გაჭრას და ჰემოროიდული კვანძიდან იღებს თრომბს. ეს ოპერაცია არ მოითხოვს არც სპეციალურ მომზადებას, არც განსაკუთრებულ რეაბილიტაციას, თანაც ჩარევის შემდეგ უმალვე საგრძნობლად უკეთ ვგრძნობთ თავს.

რაც შეეხება შინაგან ჰემოროის, ზოგიერთ შემთხვევაში დროის დაკარგვა მედიკამენტოზურ მკურნალობაზე არა მხოლოდ უაზრობაა, არამედ სახიფათოც. მაგალითად, თუ დაავადებას თან ახლავს ძლიერი და ხშირი სისხლდენა, კვანძები ერთმნიშვნელოვნად უნდა ამოიკვეთოს.

საერთოდ, რატომ გადაწყვიტეთ, რომ გაქვთ ჰემოროი?

რასაკვირველია, ეს დაავადება მეტად გავრცელებულია: სტატისტიკის მიხედვით, იგი მთელ მსოფლიოში მოზრდილი ადამიანების 10-ზე მეტ პროცენტს აწუხებს. მაგრამ დასვა ზუსტი დიაგნოზი გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან სიმპტომები, რომლებსაც ჰემოროი იძლევა, უნიკალური არაა. ისინი შეიძლება შეინიშნებოდეს სხვა დაავადებების დროსაც, თანაც ზოგიერთი მათგანი — ერთობ მრისხანეა.

მაგალითად, ტკივილის მიზეზი უკანალში შეიძლება გახდეს ანალური ბზარიც, პარაპროქტიტიც, წყლულოვანი კოლიტიც, კრონის დაავადებაც (თუმცა, ორ ბოლო შემთხვევაში ეს ყველაზე ტიპური სიმპტომი არ არის). სისხლი განავალში შეიძლება მოწმობდეს ნაწლავებში პოლიპების, ანდა სულაც ავთვისებიანი სიმსივნის არსებობას. და სანამ ადამიანი კარგავს დროს, როდესაც ჰემოროის სანთლებს იყენებს, კიბო პროგრესირდება...

როდესაც დასმულია დიაგნოზი „ჰემოროი“, მკურნალობა კი შერჩეული, მისი განხორციელება ჩვეულებრივად ოჯახურ პირობებში რთული არ არის. მაგრამ, თუ ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდით იმაში, რომ შეუძლოდ ყოფნის მიზეზი — ჰემოროიდული კვანძების დაზიანებაშია, საუკეთესო ხერხი დაეხმაროთ საკუთარ თავს, ესაა — მივმართოთ ექიმს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— რატომ გაშორდი ცოლს?

— აბა რა მექნა? ჩვენ ხომ არანაირი საერთო ინტერესები არ გვქონდა, თუ არ ჩავთვლით საერთო ცხრა შვილს.

* * *

ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტები მამაკაცებისათვის. მათი შემადგენლობის 99 პროცენტი საძილე საშუალებაა.

* * *

ავტოინსპექტორი აჩერებს მანქანას, რომლის საჭესაც ქერათმიანი ლამაზმანი უზის.

— თქვენ რა, შუქნიშანზე წითელი ფერი არ დაგინახავთ?

— წითელი ფერი კი დავინახე, თქვენ არ დამინახიხართ.

* * *

რუსეთში აპირებენ ყირიმისგამოსახულებიანი 100-რუბლიანი კუპიურის გამოშვებას, რომლის საპროგნოზო ღირებულება 1 დოლარი იქნება.

* * *

რისთვისაც დილა არ მიყვარს, ეს არის ის, რომ იგი მუდამ მაშინ თენდება, როცა მძინავს.

* * *

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ სრულდება უმაღლესი ხელისუფლების დავალებები, იგი მათ უწყებათა ხელმძღვანელებს კი არ აძლევს, არამედ ტელევიზორს.

* * *

ჩინეთის კედელი მომთაბარე მომხვდურთაგან თავის დასაცავად კი არ აუგიათ, არამედ იმისთვის, რომ ჩინელები ქვეყნიდან არ გადმოცვენილიყვნენ.

◎ იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, რა იგულისხმება მავალდებულებელ გარიგებებში და რამდენმხრივი შეიძლება იყოს იგი?

ანზორ მამალაძე

პასუხი: მავალდებულებელი გარიგებების კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს ვალდებულებას სხვა პირის წინაშე შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედებისგან. პირი, რომელმაც იკისრა ვალდებულების შესრულება - ვალდებულია შეასრულოს დაპირებული, ხოლო ვალდებულების ადრესატს - კრედიტორს, წარმოეშობა შეპირებულის შესრულების მოთხოვნის უფლება. მავალდებულებელი გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი (ჯილდოს საჯარო დაპირება), ისე ორმხრივი (ხელშეკრულებათა უმეტესობა).

* * *

კითხვა: სამართლებრივი თვალსაზრისით რას ეწოდება ცალმხრივი გარიგება და როდიდან ჩაითვლება ნამდვილად?

გიორგი ოძროპირიძე

პასუხი: ისეთ გარიგებას, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ნების გამოვლენა, სამოქალაქო სამართალში ცალმხრივი გარიგება ეწოდება. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

* * *

კითხვა: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებობს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები. რა შინაარსის მქონეა თითოეული მათგანი?

ნინო ლეშკაშელი

პასუხი: მოჩვენებითად ჩაითვლება გარიგება იმ შემთხვევაში, თუ ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცემა მსვლელობა. მსგავსი კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით, მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში. რაც შეეხება თვალთმაქცურ გარიგებებს, მათი მიზანია სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად მიიჩნევენენ.

* * *

კითხვა: კანონის თანახმად, რა უფლება აქვს დაზარალებულ მხარეს იმ შემთხვევაში, როცა იგი მოტყუებით დადებული გარიგების მსხვერპლი აღმოჩნდა და არის თუ არა ამ შემთხვევაში დადგენილი შეცილების უფლების რაიმე ვადა?

გიორგი ჭკადუა

პასუხი: მოტყუების დროს დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. მნიშვნელოვანია ის, რომ მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს ეხება თუ სხვა გარიგებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გარიგების მონაწილის ნებაზე. მოტყუებით დადებული გარიგების დროს შეცილების უფლების ვადა შეადგენს ერთ წელს, მაშინ, როცა შეცდომით დადებული გარიგების დროს ეს ვადა მხოლოდ ერთი თვით არის განსაზღვრული.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24